



ადამიანის უფლებათა საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრი
სასამართლოს მონიტორინგი

სასამართლოს მონიტორინგის პროექტი საქართველოში

ანგარიში

ადამიანის უფლებათა ცენტრი მადლობას უხდის მხარდაჭერისათვის ეუთოს
ადამიანურ განზომილებათა ოფისს საქართველოში

ანგარიშზე მუშაობდნენ ნონა კალანდაძე, ნანა ჭაბუკაძე, ბაკურ ბოლქვაძე და იაგო
ბარამიძე

2006



ადამიანის უფლებათა საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრი
სასამართლოს მონიტორინგი

სარჩევი

სარჩევი.....	2
შესავალი	4
საერთო შინაარსი და მონიტორინგის მიზნები.....	4
ნაწილი I.....	6
დარღვევების და ჩატარებული სამუშაოების მოკლე აღწერა რომლებიც სხვადასხვა საქმეებზე დაკვირვების შედეგად გამოვლინდა.....	6
ბაშალიშვილი გრიგოლ	7
ორახელაშვილი ლევანი.....	7
აფხაიძე, ფაფიაშვილი, გამყრელიძე	8
ნანიეშვილი და სხვები.....	8
კობახიძე სოფიო.....	9
ვაჟა ადამია	10
გვიჩიანი, ჩემია, ხერკილაძე.....	10
მალანია ირაკლი	11
მოლაშვილი სულხანი	12
მარცვალაძე ლევანი	13
სარქისიანი რომეო	14
ცხაკაია კახა	14
ბაღდადაშვილი შოთა	15
ჯალაბაძე გიორგი	15
ნიშნიანიძე ონისე.....	16
ბათიაშვილი ირაკლი	16
მანუკიანი, თოფჩიანი, ნეზიერიძე, გოგიაშვილი	17
თავდგირიძე გიორგი	17
გლურჯიძე, გუგუშვილი, ხმალაძე.....	18
ნემსიწვერიძე მ. და ვ., მინდაძე დავითი.....	18
ზურაბიანი, ჯოჯუა, კობალაძე.....	19
მიქიაშვილი გიორგი	19
ხუნაშვილი ზაზა და მამუკა	19
ბათალბი სალინაძე, ვახტანგ ბიბლაია	20
ზურაბ ლლონტი.....	Error! Bookmark not defined.
მანუჩარ ანანიძე	21
მერაბ თურმანიძე.....	21
მანუჩარ ჭითაბერიძის, ზაურ დევაძე, ზაზა გელაშვილი.....	22
ლევან აბუსერიძე	23
ჯამბულ აბუსერიძე	Error! Bookmark not defined.
კობა ყურბანაძე	23
ოთარ ცანავა	24
ირაკლი შაქარიშვილი.....	24
იზაბელა ზაქარაძე, ლარისა კობალაძე, ემილ სურმანიძე	25
პაატა დუმბაძე.....	26
ბონდო აბუსერიძე.....	26
ჯემალ ვერულიძე	27
გიორგი ბერიძე.....	27
გიორგი გრიგალაშვილი	28
ნუგზარ ქამადაძე	28
ასლან აბაშიძე.....	28
თეიმურაზ შაინიძე	29
ალექსი ძიმისტარაშვილი	29
გია გორაძე	29
ლეილა კუსრაშვილი.....	29



ადამიანის უფლებათა საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრი სასამართლოს მონიტორინგი

ლუკა რამაზაშვილი	30
დავით თამაზაშვილი.....	31
რევაზ შანიძე	Error! Bookmark not defined.
თამაზ მაჭავარიანი.....	31
ბადრი მეპურიშვილი.....	32
რევაზ აბელაშვილი.....	Error! Bookmark not defined.
ი. ნანობაშვილი	32
მაყვალა მაჭარაშვილი.....	33
ილია მექერიშვილი.....	33
გოჩა ნაზლაიძე, ზურაბ გეთიაშვილი, გოჩა ვარაზაშვილი, კობა აბაზაშვილი	Error! Bookmark not defined.
დიმიტრი ჯოხაძე.....	34
ნაწილი II.....	36
დასკვნები და რეკომენდაციები	36
ა) პიროვნების ხელშეუხებლობა, მისი პატივისა და ღირსების დაცვა.....	36
ბ) დაკავებისას და დაპატიმრებისას ძალის გამოყენების აკრძალვა	36
გ) დაკავებისა და დაპატიმრების მიზეზის დაუყოვნებლივ გაცნობის უფლება.....	37
დ) იურიდიული დახმარების მოთხოვნის უფლება	37
ე) შეტყობინება ნათესავებისა და ახლობლებისათვის პირის დაკავების ან დაპატიმრებისას	38
ვ) სასამართლოს გადაწყვეტილების დროულად მიღება	38
ზ) დაცვისათვის საჭირო დროითა და საშუალებით უზრუნველყოფა.....	39
თ) წამება და სასტიკი მოპყრობა და უფლება, არ აიძულონ აღიაროს თავი დამნაშავედ	39
ი) დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს უფლება.....	40
კ) პროცესის საქვეყნოობა, განაჩენის დასაბუთებულობა და სდამართლიანობა	40
ლ) ჩვენებების მოპოვებისას წამებისა და სასტიკი მოპყრობის აკრძალვა.....	41
მ) სახელმწიფოს პასუხისმგებლობა აღკვეთის წამება და სასტიკი მოპყრობა.....	41
შეჯამება	42
მიღებული შედეგები:.....	43
საქართველოს მასშტაბით ყველა სასამართლოში დაფიქსირებული პრობლემები:.....	43
ბათუმის სასამართლოში დაფიქსირებული პრობლემები:.....	44
კახეთის სასამართლოებში დაფიქსირებული პრობლემები:	45
დასკვნები და რეკომენდაციები:.....	46



ადამიანის უფლებათა საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრი სასამართლოს მონიტორინგი

შესავალი

საერთო შინაარსი და მონიტორინგის მიზნები

სასამართლო სისტემაში შექმნილი მძიმე მდგომარეობის გამო, “ეუთო“-ს მისიამ საქართველოში “ადამიანის უფლებათა საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრთან” ერთად გადაწყვიტა ჩაეტარებინა სასამართლოს მონიტორინგი. მონიტორინგი ჩატარდა როგორც ყველაზე გახმაურებულ და რეზონანსულ საქმეებზე, რომლებმაც საზოგადოებაში დიდი გამოხმაურება ჰპოვა, ასევე სხვა მრავალ საქმეზე, რომელთა განხილვა სასამართლოში ამჟამად მიმდინარეობს. სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ ბევრი პრობლემა მნიშვნელოვნად წააგავს ერთმანეთს და, სხვადასხვა სტადიაზე, მეორდება. აღსანიშნავია, რომ ქართულ სასამართლო სისტემას გააჩნია ისეთი პრობლემებიც, რომლებიც დაკავშირებულია არა მარტო პროცესუალურ დარღვევებთან. სასამართლომ დამოუკიდებლობა დაკარგა და მასზე ზეწოლამ სისტემატიური ხასიათი მიიღო.

მონიტორინგის განმავლობაში ხდებოდა დაკვირვება 59 საქმეზე საქართველოს მთელი მასშტაბით, როგორც პირველ და სააპელაციო, ისე უზენაეს ინსტანციებში. ზემოაღნიშნული საქმეებიდან, ნახევარზე დაკვირვება ხდებოდა თბილისის სასამართლოებში.

მონიტორინგის მიზანია სამართლიანი სასამართლოსადმი პატივისცემის დამკვიდრება. აქედან გამომდინარე, პროგრამის მთავარი მიზნებია:

- სასამართლო სისტემაში მიმდინარე რეფორმის მხარდაჭერა;
- ქვეყნის შიდა სტანდარტების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა და გამჭვირვალობის და სასამართლო სისტემისადმი საზოგადოების რწმენის გაზრდა.

საქართველოში ეუთო-ს მისიამ “ადამიანის უფლებათა საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრის” წარმომადგენლებთან ერთად წელს პირველად განახორციელა პილოტური პროექტი ზემოთ ჩამოთვლილი მიზნების მისაღწევად.



ადამიანის უფლებათა საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრი სასამართლოს მონიტორინგი

მონიტორინგის მნიშვნელობა გამოიხატება შემდგომში:

1. მონიტორინგის შედეგად, ხდება სასამართლო სისტემაში არსებული პრობლემის გამოვლენა;
2. მონიტორინგი იძლევა საშუალებას, გამოვლინდეს სასამართლოს სისტემაში არსებული პრობლემის საფუძვლები;
3. მონიტორინგი იძლევა ობიექტური სინამდვილის აღწერას და სასამართლოსა და ცალკეული მხარეების მოვალეობის შესრულებაზე დაკვირვების შესაძლებლობას;
4. მონიტორინგის საფუძველზე მოპოვებული ინფორმაცია იძლევა არსებული პრობლემების აღმოსაფხვრელად შემდგომი საქმიანობის დადგენის შესაძლებლობას;
5. მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი საკანონმდებლო ხარვეზები მომავალი საკანონმდებლო ცვლილებების წინაპირობაა.

როდესაც სასამართლოში უფლებათა დარღვევაზე ვსაუბრობთ, შეგვიძლია ორ ძირითად პრობლემაზე გავამახვილოთ ყურადღება - უფლებათა დარღვევა სასამართლო პროცესამდე და უშუალოდ პროცესის მსვლელობისას.

მთავარი, რასაც ვგულისხმობთ ადამიანის უფლებათა დარღვევაში სასამართლო პროცესამდე, არის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის არ არსებობა, რაც სამწუხაროდ ჯერ კიდევ გვხვდება ზოგიერთ ქართულ სასამართლოში. ეს, ერთი შეხედვით, უმნიშვნელო პრობლემა საკმაოდ დიდ საფრთხეს უქმნის ქართულ სასამართლოში ერთ-ერთი ფუნდამენტური პრინციპის - სხდომის საჯაროობის განხორციელებას. დარბაზში ტექნიკური საშუალებების არარსებობის გამო, სხდომაზე დამსწრეთათვის შეუძლებელია მოწმის საუბარის გაგონება (თბილისის სისხლის სამართლის საქალაქო სასამართლო, რაიონული სასამართლოები). ეს ფაქტი სასამართლო სხდომის საჯაროობის პრინციპს ეწინააღმდეგება.

თითქმის შეუძლებელია სასამართლო სხდომების განრიგის დადგენა. სასამართლოს შენობაში სტენდზე გამოკრული სხდომათა განრიგები, როგორც წესი, არ შეესაბამება სინამდვილეს, რადგან ხშირია სხდომათა გადადებისა და დაგვიანების შემთხვევები. პროცესების დაწყების შეყოვნება 20-30 წუთით ჩვეულებრივ მოვლენად მიიჩნევა. თუმცა, არის შემთხვევები, როდესაც პროცესი რამოდენიმე საათის დაგვიანებითაც დაწყებულა. მონიტორინგის განმავლობაში აღნიშნული დარღვევა საქმეების 80%-ში გამოვლინდა.

შეუძლებელია, გვერდი ავუაროთ ზოგიერთი სასამართლოს დღევანდელ მდგომარეობას, რაც ელემენტალურ მოთხოვნებსაც კი ვერ აკმაყოფილებს. შენობებში არსებული ვითარება ნამდვილად მძიმეა - ძალიან მცირე ზომის დარბაზები, გაუსაძლისი ვითარება (ადგილები არ არის დამსწრეთათვის, კონდიციონერების სისტემა არ მუშაობს და ა.შ.), ადამიანთა ბრძოლა დარბაზში მოსახვედრად, რაც ისედაც



ადამიანის უფლებათა საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრი სასამართლოს მონიტორინგი

დამაბულ სიტუაციას (რაც სისხლის სამართლის პროცესისთვის დამახასიათებელია) კიდევ უფრო ამძიმებს. შედეგად კი, ვიღებთ იმას, რომ უამრავი დაინტერესებული პირი სასამართლო დარბაზში შესვლას ვერ ახერხებს. ამ პრობლემას პროექტში მონაწილე დამკვირვებლები თავადაც არაერთხელ წააწყდნენ. იყო შემთხვევები, როდესაც დარბაზში, რომელშიც სხდომის ჩატარება იგეგმებოდა, სხვა პროცესი მიმდინარეობდა, რის გამოც, მოსამართლეს თავად დაუვლია დერეფანი ცარიელი დარბაზის მოსაძებნად.

მატერიალურ-ტექნიკური ბაზის არ არსებობა საფუძველს წარმოადგენს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პრობლემისათვის - ეს არის სასამართლო სხდომის ჩატარება მოსამართლეთა პირად კაბინეტში. მოსამართლეთა კაბინეტები ძირითადად აღმკვეთი ღონისძიების შეფარდებისას გამოიყენება და, ასეთ შემთხვევაში, ბრალდებულის ახლობლებიც კი არ დაიშვებიან სხდომაზე.

როგორც უკვე აღინიშნა, პროცესებზე დასწრება ზემოთ ჩამოთვლილი მთელი რიგი გარემოებების გამო, გაძნელებული და თითქმის შეუძლებელია. ამ მიზეზით, სასამართლოების თავმჯდომარეებს სპეციალური მიმართვები გავუგზავნეთ. თუმცა, ზოგ სასამართლოში მდგომარეობა მნიშვნელოვნად არც ამის შემდეგ გამოსწორდა.

ნაწილი I

დარღვევების და ჩატარებული სამუშაოების მოკლე აღწერა, რომლებიც სხვადასხვა საქმეებზე დაკვირვების შედეგად გამოვლინდა

სასამართლოში პროცესებზე თავისუფალი დასწრების აკრძალვის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითი იყო ბრალდებულ ალანას, ბიბილურიძის, აფციაურის და ლაჭავას¹ პროცესი. აღნიშნულ საქმეზე საზოგადოების მხრიდან დიდი ინტერესი არსებობს.

უნდა აღინიშნოს ის რეკორდულად მცირე დრო, რა პერიოდშიც მოხდა ამ საკმაოდ რთული საქმის განხილვა. იმ დროს, როდესაც მსგავს საქმეებზე პროცესები წლობით მიმდინარეობს, ამ საქმის განხილვას სასამართლოში მხოლოდ 5 სამუშაო დღე, 2006 წლის ივნისის ბოლო და ივლისის დასაწყისი დაეთმო. აღსანიშნავია ასევე, რომ საქმე შედგება 5 საკმაოდ მოზრდილი ტომისაგან. თითო ტომი ასეულ ფურცელს ითვლის. საქმის განხილვის დღეებში შეუძლებელი იყო იმ დარბაზთან მიახლოება, სადაც პროცესი მიმდინარეობდა. ამავე დროს, ოთახი იყო იმდენად მცირე, რომ იტევდა ა

¹ დანაშული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143-ე მუხლის 2-ე, 119-ე და 187-ე მუხლის 1 ნაწილებით, დამატებით ბრალდებულ ალანას 333-ე მუხლის 1 ნაწილის თანახმად წარედგინა ბრალი. (თბილისი)



ადამიანის უფლებათა საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრი სასამართლოს მონიტორინგი

სულ რაღაც 40 ადამიანს. პროცესზე დასწრების ბევრი მსურველი, მათ შორის, დაზარალებულების ოჯახის წევრებიც კი, ვერ მოხვდნენ დარბაზში იმ მიზეზით, რომ მათთვის დასაჯდომი ადგილი არ იყო. გადაწყვეტილება მხარეებს უნდა გადასცემოდათ 5 დღეში, ხოლო განსაკუთრებით რთულ საქმეებზე - 14 დღეში, მაგრამ დაზარალებულმა მხარემ ორი თვის თავზე, სექტემბერში მიიღო გადაწყვეტილების ასლი.

დარბაზი ტექნიკურად გაუმართავი იყო, დამსწრეებს არაფერი ესმოდათ. სააპელაციო ინსტანციაში საქმე რამოდენიმეჯერ იყო ჩანიშნული და ამდენჯერვე გადაიდო.

ბაშალეიშვილი გრიგოლ²

2004 წლის ნოემბერში 19 წლის ამირან რობაქიძე პოლიციის მაღალჩინოსნის ტყვიით დაიღუპა. აღნიშნული პოლიციელი დაახლოებით წელიწადნახევრის შემდეგ დააკავეს, ხოლო დაღუპულის მეგობრები მთელი ამ ხნის განმავლობაში ციხეში ისხდნენ ექვმიტანილის სტატუსით.

სასამართლო სხდომები გაიმართა 2006 წლის ზაფხულში.

არაერთხელ მომხდარა ისე, რომ სხდომაზე დამსწრეთათვის შეუძლებელი იყო მოწმის საუბარის გაგონება. ეს ფაქტი სასამართლო სხდომის საჯაროობის პრინციპს ეწინააღმდეგება, რაც დაზარალებულის ადვოკატმა სასამართლოს განუმარტა. მოსამართლის პასუხი კი შემდეგი იყო: “მთავარია მხარეებს ესმით” და “რა ვუყოთ ახლა”. პირველმა ინსტანციამ ბაშალეიშვილს მიუსაჯა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა. ამჟამად საქმე აპელაციაშია.

ორახელაშვილი ლევან³

ლევან ორახელაშვილი 2005 წელს დააპატიმრეს და ბრალი 8 წლის წინ მომხდარ გიორგი შავგულიძის მკვლელობაში დასდეს. მკვლელობის იარაღი არ არის ნაპოვნი. წინასწარი და სასამართლო გამოძიების მასალებს ყველა მხარე უნდა დაერწმუნებინა განსასჯელ ლევან ორახელაშვილის მიმართ წაყენებული ბრალის უსაფუძვლობაში, ბრალდების მხარემ მაინც მოითხოვა მისთვის გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანა და 10 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქმეში არსებულ მასალებთან ერთად, ლევან ორახელაშვილის უდანაშაულობა ბრალდების მხარის მიერ წარმოთქმულმა “საბრალდებო სიტყვებმაც” დაადასტურეს, ბრალდებას არ ჰქონდა საკმარისი საფუძველი რომ დაედასტურებინა ორახელაშვილის მიერ დანაშაულის ჩადენა.

2006 წლის აგვისტოში სისხლის სამართლის საქალაქო სასამართლომ გაამართლა ლევან ორახელაშვილი ყველა წაყენებულ ბრალდებაში. 2006 წლის ნოემბერში სააპელაციო ინსტანციამ ძალაში დატოვა სისხლის სამართლის საქალაქო სასამართლოს გამამართლებელი განაჩენი ლევან ორახელაშვილის მიმართ.

თავიდანვე უხარისხოდ წარმართული გამოძიების შედეგად, ამ საქმეზე მკვლელის ვინაობა დღესაც დაუდგენელი რჩება.

² დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 116 (I) მუხლით (თბილისი)

³ დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109 (ვ), 236 (I, II, III), 239 (I, II-ბ, III) მუხლებით. (თბილისი)



ადამიანის უფლებათა საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრი სასამართლოს მონიტორინგი

აფხაიძე, ფაფიაშვილი, გამყრელიძე⁴

2004 წლის შემოდგომაზე დააკავეს აფხაიძე, ფაფიაშვილი და გამყრელიძე. ჩხრეკის ორდერის მიხედვით, დაკავებულთა (აფხაიძეს, ფაფიაშვილს და გამყრელიძეს) ჯიბეში ნაპოვნი იყო დიდი რაოდენობის ჰეროინი. თუმცა აღნიშნული ფაქტი დიდად საეჭვოა, რადგან ორი მოწმე, რომელიც ესწრებოდა ჩხრეკას, რეალურად იყო პოლიციის მიერ დაქირავებული ამ საქმიანობისთვის, ამას ადასტურებენ თავად მოწმეები გუგუშვილი და გელაშვილი. ტელევიზიით გადაცემული მასალით (გუგუშვილი), ხოლო მეორე სასამართლო სხდომაზე (გელაშვილი).

დაკავებისას მოხდა განსასჯელების ცემა, რაც დასტურდება სასამართლო სხდომის დროს მიცემულ ჩვენებებში როგორც განსასჯელების ასევე სხვა მოწმეების (ტაქსის მძღოლის, რომლის მანქანიდანაც მოხდა განსასჯელთა აყვანა) მიერ.

ამ საქმეზე დაკითხული დაკავებაში მონაწილე ყველა მოწმე იმიზეზებს იმ ფაქტს, რომ განსასჯელების დაკავება მოხდა დიდი ხნის წინ, რის გამოც, მათ არ ახსოვთ დაკავების დეტალები, თუმცა სახელები და გვარები ზუსტად იციან და ისიც კარგად ახსოვთ რომ ჯიბეში ნარკოტიკები აღმოუჩინეს.

ადამიანის უფლებათა დაცვის და სამოქალაქო ინტეგრაციის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარემ, ელენე თევდორაძემ, მისწერა წერილი გენერალური პროკურორის მოადგილეს, სადაც იგი მოუწოდებდა მას, “საქმის პირადი კონტროლის ქვეშ აყვანას”, ვინაიდან ელენე თევდორაძე ეჭვობდა, რომ ჩხრეკა ჩატარდა არაკანონიერად.

განსასჯელები უარს ამბობდნენ საპროცესო შეთანხმების გაფორმებაზე, რადგან თავს თვლიდნენ უდანაშაულოდ. პროცესები გაგრძელდა 2006 წლის ნოემბრამდე.

საბოლოოდ, პირველ ინსტანციაში გაფორმდა საპროცესო შეთანხმება ბრალის აღიარების გარეშე. განსასჯელებს მიესაჯათ 4 წლით თავისუფლების აღკვეთა.

ნაწიშივილი და სხვები⁵

პოლიციის ყოფილ მუშაკს - პეტრე რუხაძეს მისი ფსიქიკური მდგომარეობის გარკვევის მიზნით ჩაუტარდა 4 ექსპერტიზა, რომელთაგან მესამე - იუსტიციის სამინისტროს კომისიის მიერ ჩატარებული ექსპერტიზის შედეგების მიღების შემდეგ ეჭვქვეშ დადგა წინა ორი ჩატარებული ექსპერტიზის შედეგები. პროტესტის ნიშნად კიდევ ერთი კომისია იქმნება, ეს კომისიაც ადგენს, იმავეს რაც დაადგინა პირველმა ორმა ექსპერტიზამ. ფაქტიურად განსხვავებული შედეგი მიიღო მხოლოდ იუსტიციის სამინისტროს კომისიამ.

პროცესები ამ საქმეზე დაიწყო 2006 წლის გაზაფხულზე და ჯერ კიდევ გრძელდება.

სასამართლოზე დაკითხული მოწმეების ჩვენებებიდან ირკვევა, რომ იუსტიციის სამინისტროს კომისიის მიერ გამოტანილი დასკვნა საეჭვოა, შედარებით

⁴ დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260 (III) მუხლით (თბილისი)

⁵ დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370 (II) (არასაკატიმრო საქმეა) (თბილისი)



ადამიანის უფლებათა საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრი სასამართლოს მონიტორინგი

განსხვავებული აზრი გააჩნიათ იუსტიციის სამინისტროს კომისიის წევრებს. აუცილებელია აღინიშნოს ასევე, რომ იუსტიციის სამინისტროს კომისიის წევრებს გააჩნიათ მცირე სტაჟი ფსიქიატრიაში, როდესაც სხვა დანარჩენი კომისიის წევრებს წლობით აქვთ ნამუშევარი ამ სფეროში, განსაკუთრებით ბოლო ექსპერტიზაში მონაწილეებს.

სხდომებზე დაკითხულ იქნენ განსასჯელები (არასაკატიმრო საქმეა), რომლებიც თავიანთი დასკვნის სისწორეს ადასტურებენ.

სასამართლოს წარედგინა მსოფლიო ფსიქიატრთა ასოციაციის პრეზიდენტის (ხუან მეზიჩის), აღმოსავლეთ ევროპისა და ბალკანეთის ქვეყნების ფსიქიატრთა საზოგადოების პრეზიდენტის (ჯორჯ ხრისტოდულის) და რუსეთის ფსიქიატრთა საზოგადოების პრეზიდენტის (კრასნოვის) წერილები, რომლებშიც ისინი შესაბამის თანამდებობის პირებს აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით სთხოვენ გამოიჩინონ ყურადღება და გამოასწორონ პრობლემა, რომლითაც უდანაშაულო ხალხი ზიანდება, რომელთაც ფაქტიურად უკანონოდ აქვთ წარდგენილი ბრალდება, რადგან არც ერთ ექსპერტიზის შედეგები არ შეიძლება იყოს აბსოლუტურად ჭეშმარიტი.

საქმე ჯერ ისევ პირველ ინსტანციაშია.

კობახიძე სოფიო⁶

სოფიო კობახიძეს ბრალი ედება ქურდობაში ბინაში შეღწევით. იგი სასჯელს იხდის 2004 წლის აგისტოდან. ამ საქმეზე დარღვეულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 75-ე მუხლი, რომელიც ითვალისწინებს რომ სასამართლოს შეუძლია გადაუვადოს სასჯელის მოხდა ორსულ ქალს ან ქალს, რომელსაც ჰყავს ხუთ წლამდე შვილი, სანამ ბავშვი ხუთი წლის გახდება. I ინსტანციის სასამართლომ არ გაითვალისწინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მუხლები და უკანონოდ შეუფარდა წინასწარი სამთვლიანი პატიმრობა და აგრეთვე თავისუფლების აღკვეთა 6 წლის ვადით.

სამწუხაროდ 2006 წლის ზაფხულში სააპელაციო ინსტანციამაც არ გაითვალისწინა საქმეში არსებული პროცესუალური დაღვევები, სოფიო კობახიძის ბავშვის მდგომარეობა, რომ შვილი - ლუკა კობახიძე იმყოფება დედასთან ერთად სასჯელადსრულებით დაწესებულებაში და სოფიო კობახიძე ცნობილ იქნა დამნაშავედ და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა ოთხი წლის ვადით.

საქმე უზენაეს სასამართლოშია. უზენაეს სასამართლოს შეუძლია საქმეზე გადაწყვეტილება მიიღოს ზეპირი მოსმენით ან მის გარეშე.

⁶ დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის I ნაწილით, II ნაწილის “ა” და “ბ” ქვეპუნქტებით, III ნაწილის “გ” ქვეპუნქტით. (თბილისი)



ადამიანის უფლებათა საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრი სასამართლოს მონიტორინგი

ვაჟა ადამია⁷

პროცესები იმართებოდა 2006 წლის ზაფხულში. 6 ივლისს განსასჯელი ადამიას საქმეზე, პროცესი ერთ-ერთი მოსამართლის კაბინეტში ჩატარდა, სადაც არა მხოლოდ შესაბამისი პირობები არ იყო, არამედ დამსწრეთ (დამცველის ჩათვლით) მთელი პროცესის განმავლობაში ფეხზე დგომაც კი მოუწიათ ადგილების სიმცირის გამო.

როდესაც მხარეები სასამართლო კამათზე გადავიდნენ აღმოჩნდა, რომ სახელმწიფო ბრალმდებელს წინასწარ ჰქონდა დაბეჭდილი საბრალდებო სიტყვა ისე, რომ სასამართლო გამოძიების დროს ბრალდებულის სიტყვისათვის არც კი მოუსმენია. ბრალდებულის სიტყვეში შესაძლებელია მნიშვნელოვანი ინფორმაცია ყოფილიყო, რასაც მომავალში ბრალის განსაზღვრაზეც კი შეეძლო ზეგავლენის მოხდენა. საბოლოოდ, ამ საქმეზე პირველი ინსტანციის მოსამართლემ დაადგინა 6 წლით და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

გვიჩიანი, ჩემია, ხერკილამე⁸

ამ საქმეზე საზოგადოების დიდი ინტერესი არსებობს. გამოძიებამ ვერც წინასწარი გამოძიების დროს და ვერც სასამართლოში, ვერ წარმოადგინა მასალა იმის შესახებ, თუ რა დანაშაული ჰქონდა ჩადენილი განსასჯელს და რა იყო ცნობილი ამის შესახებ გარდაცვლილისთვის. წინასწარმა გამოძიებამ განაცხადა, რომ განსასჯელებმა ჩაიდინეს დანაშაული, მაგრამ არ ახსნა თუ რას გულისხმობდა ამ სიტყვებში.

განსასჯელები დააკავეს 2006 წლის ზაფხულის დასაწყისში. წინასწარი გამოძიების დროს გვიჩიანისთვის ბრალის წარდგენისას მოკლედ იყო ნათქვამი, რომ იგი ეწეოდა მაქინაციებს, რაც საერთოდ გაშიფრული არ ყოფილა.

2006 წლის ზაფხულში სასამართლოში ბრალდების მხარემ ასევე არაფერი თქვა იმ კონკრეტულ დანაშაულზე, რაც აიძულებდა გვიჩიანს და ხერკილამეს ეს უმძიმესი დანაშაული ეღიარებინა. უფრო მეტიც, გვიჩიანს წარდგენილი არა აქვს ბრალდება იმ დანაშაულისათვის, რომლის დაფარვაც მას სურდა. ასეთ ვითარებაში, ბრალდება 109-ე მუხლის “თ” პუნქტით, აშკარად დაუსაბუთებელია, გამოუსადეგარია გ. გვიჩიანისთვის მსჯავრის დასადებად.

ხსენებული ბრალდება პროკურორმა შემოიტანა საქართველოს სსსკ 446-ე მუხლის გამოყენებით, რაც მას უფლებას აძლევდა შეემსუბუქებინა განსასჯელის ბრალი. ამ შემთხვევაში კი, მოხდა ბრალის დამძიმება, რისი უფლებაც, გამომდინარე ხსენებული ნორმიდან, პროკურორს არ ჰქონდა და სასამართლო ვალდებული იყო უარი ეთქვა ამ დოკუმენტის მიღებაზე, როგორც კანონის დარღვევით შემოტანილ დოკუმენტზე.

⁷ მას ბრალი აქვს წაყენებული ხულიგნობაში საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 239 მუხლის 3-ე ნაწილის თანახმად. (თბილისი)

⁸ დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე, 109-ე მუხლით და 236-ე მუხლის I და II ნაწილებით (თბილისი)



ადამიანის უფლებათა საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრი სასამართლოს მონიტორინგი

სასამართლო სხდომაზე დაკითხულმა გიორგი გვიჩიანმა თავი არ სცნო დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში და აჩვენა, რომ არის უდანაშაულო და რომ მის წინააღმდეგ საქმეში არ მოიპოვება არც ერთი მტკიცებულება გარდა მისი ოჯახის მტრის ნოდარ გვიჩიანის ჩვენებისა. მისი დაკავების შემდეგ მასთან ციხეში მივიდა სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის გამომძიებელი, რომელმაც უთხრა, რომ მათ იცოდნენ, რომ ნ. ლომინაძის მკვლელობა მას არ შეუკვეთავს, მაგრამ კარგად დაფიქრებულიყო, რადგან ისინი ფიქრობდნენ მის გათავისუფლებას და საპროცესო შეთანხმების გაფორმებას, თუ სანაცვლოდ იგი იტყოდა, რომ იყო მკვლელების შუამავალი, ხოლო მკვლელობის შემკვეთი იყო მისი ყოფილი ხელმძღვანელი იგნასიო ირიზარენი. კუპრაშვილმა ასევე უთხრა, რომ მათ ჰქონდათ უტყუარი მტკიცებულებები, რომ ის სამი პირი, ვინც ნ. ლომინაძის მკვლელობისთვის იყო დაპატიმრებული, იყო ნ. ლომინაძის მკვლელები, ხოლო ვინც მკვლელობა აღიარა, ყველა გაათავისუფლეს.

დ. მჭედლიძემ (რომელიც იყო ეჭვმიტანილი) უარყო ნ. ლომინაძის მკვლელობაში მონაწილეობა და მის მიმართ შეწყდა სისხლის სამართლებრივი დევნა. მიუხედავად იმისა, რომ დ. მჭედლიძე მთელი 6 თვე იმყოფებოდა უკანონო პატიმრობაში ამისათვის არავის პასუხისმგებლობის საკითხი არ დამდგარა.

სასამართლო განხილვის I ინსტანციაში ავთანდილ ხერკელაძესთან დაიდო საპროცესო შეთანხმება და ავთანდილ ხერკელაძეს სასჯელის ზომად განესაზღვრა 8 (რვა) წლით თავისუფლების აღკვეთა. გვიჩიანსა და ჩემიას კი უვადო თავისუფლების აღკვეთა აქვთ მისჯილი. საქმე სააპელაციო ინსტანციაშია.

მალანია ირაკლი⁹

საქმის მასალებიდან გამომდინარე, მალანიას მიმართ ჩატარებული საგამომძიებლო მოქმედება არ წარმოადგენდა გადაუდებელ აუცილებლობას (2005 წლის 24 ივნისის პატაკში მითითებულია, რომ მალანია ოპერატიული ინფორმაციის თანახმად, ატარებს 'მაკაროვის' სისტემის ცეცხლსასროლ იარაღს და ძირითადად მოძრაობს ვაკისა და ვერის ტერიტორიაზე). ამიტომ, საქ. სსსკ-ის 317-ე მუხლის თანახმად, გამომძიებელს ან პროკურორს უნდა მიემართა სასამართლოსთვის ნებართვის მისაღებად საგამომძიებლო მოქმედების ჩატარებაზე. ამ შემთხვევაში ეს არ გაკეთებულა. აქედან გამომდინარე, ამჟამად, რომ დაირღვა კანონის მოთხოვნები. ჩხრეკა ჩატარებულია კანონის დარღვევით. ყველაფერთან ერთად, ი. მალანიას არ გადასცეს ჩხრეკის ოქმის ასლი, რითაც დაირღვა სსსკ 327-ე მუხლის მოთხოვნები, ეს კი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 145-ე მუხლის მე-5 ნაწილით პირის გათავისუფლების საფუძველია.

მნიშვნელოვანი დარღვევებია ი. მალანიასათვის ბრალის წარდგენის დროს. კერძოდ, 2005 წლის 25 ივნისს მალანია ეჭვმიტანილად იქნა ცნობილი. აღნიშნული დადაგენილება გაუქმდა 2005 წლის ივლისში, რადგან გავიდა ეჭვმიტანილად ყოფნის 30-დღიანი ვადა და არ წარედგინა ბრალდება. 2006 წლის იანვარში, ანუ 7 თვის

⁹ დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის I და II ნაწილებით და 19-109 მუხლის ა, ქვეპუნქტით, ასევე 109-ე მუხლის გ, ვ, ზ, თ, ი, ლ ქვეპუნქტებით (თბილისი)



ადამიანის უფლებათა საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრი სასამართლოს მონიტორინგი

შემდეგ, მალანიას გამომძიებელმა წაუყენა ბრალი, რაც არაკანონიერია სისხლი სამართლი საპროცესო კოდექსის 72-ე მუხლის მიხედვით.

ადვოკატი წააწყდა პრობლემებს ირაკლი მალანიას სამედიცინო შემოწმების მოთხოვნისას. როდესაც ექსპერტებმა მოისურვეს შემოწმების ჩატარება, გამომძიებელმა მათ არ მისცა საშუალება შეხვედროდნენ ირაკლი მალანიას. ექსპერტები იძულებულნი გახდნენ, დასკვნა დაეწერათ საქმის წერილობით მასალებზე დაყრდნობით, ირაკლი მალანიას პირადად ნახვის გარეშე.

სასამართლოზე დაზარალებულმა მ. სულავამაც და მოწმე ტაბატაძემაც 3,5 წლის შემდეგ გაიხსენეს, რომ აქამდე შავგვრემანი თავდამსხმელი, თურმე ქერა ყოფილა. ამ ყველაფერს სასამართლოსთვის უნდა გაეჩინა რეალური საფუძველი ეჭვი შეეტანა დაზარალებულის ჩვენების სისწორეში, ასევე მოწმე ტაბატაძის ჩვენებაშიც.

პოლიციის ორივე თანამშრომელმა, მათითაიშვილმაც და ბესელიამაც დაადასტურა, რომ დარღვევით იქნა ჩატარებული ყველა საპროცესო მოქმედება ი. მალანიას მიმართ და არაუფლებამოსილი პირების მიერ ჩატარდა ჩხრეკა და შესაბამისად ამოღებაც, თუმცა ამის მიზეზი ვერცერთმა ვერ გაიხსენა.

პროკურორს არც უცდია დაესაბუთებინა და ანალიზი გაეკეთებინა, რატომ უნდა მიიჩნიოს სასამართლომ მისი პოზიცია დადასტურებულად. პროკურორმა ზუსტად 5 წუთში დაამთავრა საკამათო სიტყვა და ერთადერთი, რაზეც ისაუბრა, ეს იყო სასჯელი - 18 წელი. არანაირი დასაბუთება იმის შესახებ, რატომ არის სსკ 19, 109 მუხლის შემადგენლობა, ან რატომ მიიჩნია ბრალდება სსკ 109 მუხლის გ, ვ, ზ, თ, ი, ლ პუნქტები დადასტურებულად მაშინ, როცა ისინი არანაირი ფაქტობრივი გარემოებით არ დაადასტურა.

მალანიას არ გამოუყენებია დუმილის უფლება და უარყო მისთვის წარდგენილი ყველანაირი ბრალდება.

პირველი ინსტანციის სასამართლომ მალანია ირაკლის შეუფარდა 15 წლით პატიმრობა. საქმე სააპელაციო ინსტანციაშია.

მოლაშვილი სულხანი¹⁰

2004 წლის 22 აპრილს კონტროლის პალატის ყოფილი თავმჯდომარე, სულხან მოლაშვილი დააკავეს მაშინ, როდესაც იგი მივიდა თბილისის ქალაქის პროკურატურაში სასამართლოს გამომძიებლის საფუძველზე. იქ მას წაუყენეს ბრალი ფინანსურ დარღვევებსა და “უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებაში”. იგი გადაიყვანეს შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობაში. მას შემდეგ, რაც მისი ადვოკატი წავიდა, პოლიციის თანამშრომლებმა აუკრეს თვალები წებოვანი ლენტით (სკოჩით) და შემდეგ რამდენიმე კაცი არწმუნებდა ელიარებინა საკუთარი დანაშაული. იგი აწამეს და დააშინეს, რომ არავისთვის არ ეთქვა წამებაზე. სულხან მოლაშვილის წამების ფაქტი დადასტურდა სასამართლო სამედიცინო და დამოუკიდებელი სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზებით.

¹⁰ დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182, 332, 333 მუხლებით. (თბილისი)



ადამიანის უფლებათა საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრი სასამართლოს მონიტორინგი

გარდა ამისა, მანამ, სანამ მოლაშვილის მიმართ გამოვიდოდა გამამტყუნებელი განაჩენი პრეზიდენტი და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე არღვევდნენ უდანაშაულობის პრეზუმფციას და მოლაშვილს ტელევიზიით გამოსვლისას "დამნაშავეს" უწოდებდნენ.

საქმეზე დარღვეული იყო პატიმრობაში ყოფნის ვადები.

2005 წლის 7 სექტემბერს სასამართლოს I ინსტანციამ მოლაშვილს მიუსაჯა 9 წლით თავისუფლების აღკვეთა. 2006 წლის მარტის თვეში სააპელაციო სასამართლომ მოუხსნა ზოგი ბრალდება და განუსაზღვრა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა. ბოლოს, 2006 წლის 20 ივნისს უზენაესმა სასამართლომ ძალაში დატოვა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება. აღსანიშნავია, რომ ერთმა მოსამართლემ დააფიქსირა განსხვავებული აზრი. კერძოდ, სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლში სრული გამართლება, ხოლო დანარჩენი მუხლების გამო, საქმის ძიებაში დაბრუნება. საქმე ამჟამად ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოშია.

მარცვალაძე ლევანი¹¹

სასამართლო მიუთითებს, იმის გამო, რომ ლ. მარცვალაძე თავს არიდებდა გამოძიებაში გამოცხადებას, აღნიშნული დანაშაულის ჩადენისათვის, ბრალდებულის სახით დაუსწრებლად იქნა მიცემული სისხლის სამართლის პასუხისგებაში და აღკვეთი ღონისძიების სახით შეეფარდა პატიმრობა ერთი თვის ვადით, რის საფუძველზეც გამოცხადდა მისი ძებნა. იმ მიზნით, რომ ის არ დაეკავებინათ სამართალდამცავ ორგანოებს, ლ. მარცვალაძემ დაამზადა ყალბი პირადობის მოწმობა. აღნიშნული პირადობის მოწმობა პირადი ჩხრეკისას აღმოაჩნდა თავად, როცა დააკავეს ქ. რუსთავში.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 27 აპრილს განაჩენით, ლ. მარცვალაძე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით წარდგენილ ბრალდებაში გამართლდა. იგი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 19.108-ე მუხლით, 362-ე მუხლით და საბოლოოდ შეეფარდა 7(შვიდი) წლით თავისუფლების აღკვეთა.

სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ ლ. მარცვალაძის მიმართ განაჩენი მისი საქართველოს სსკ-ის 19, 108-ე მუხლით ბრალდების ნაწილში, არ გამომდინარეობს საქმეში არსებულ მტკიცებულებებიდან. ფაქტობრივი გარემოებებიდან, განაჩენი ამ ნაწილში უნდა შეიცვალოს და ლ. მარცვალაძის მოქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლით.

არ არსებობს დანა (დანაშაულის იარაღი), არ არსებობს ექსპერტიზის დასკვნები და არ არსებობს არც ერთი მოწმე ვინც იტყოდა რომ მარცვალაძემ დაარტყა დანა ჯავახიას.

საქართველოს კონსტიტუციის 40-ე მუხლის, სსსკ 10-ე მუხლის თანახმად, 'დადგენილება ბრალდებულად სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის

¹¹ დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19-108, 362 (I) მუხლებით. (თბილისი)



ადამიანის უფლებათა საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრი სასამართლოს მონიტორინგი

შესახებ, საბრალდებო დასკვნა და გამამტყუნებელი განაჩენი, ასევე ყველა სხვა საპროცესო გადაწყვეტილება, უნდა ემყარებოდეს უტყუარ მტკიცებულებებს'. ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დასტურდება კანონით დადგენილი წესით უნდა გადაწყდეს ეჭვიტანილისა და ბრალდებულის სასარგებლოდ. სააპელაციო სასამართლომ 9 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა მარცვალაძეს. საქმე გასაჩივრებულია საკასაციო ინსტანციაში (უზენაეს სასამართლოში).

სარქისიანი რომეო¹²

რომეო სარქისიანი წინასწარი გამოძიების პროცესში იყენებდა დუმილის უფლებას, ვინაიდან არ იყო დარწმუნებული, რომ გამოძიება ჩატარდებოდა ობიექტურად. ადვოკატებთან პირადი საუბრების დროს იგი აცხადებდა, რომ მას ჩაუდეს ნარკოტიკული ნივთიერება პოლიციის თანამშრომლებმა. სასამართლო პროცესზე მან განაცხადა, რომ არ აღიარებს დანაშაულს, მაგრამ თანახმაა მისცეს ჩვენება. მოსამართლემ დამნაშავედ ცნო რ.სარქისიანი წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახით შეუფარდა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა.

სარქისიანმა გადაწყვიტა, რომ აღარ გაესაჩივრებინა მოსამართლის ეს გადაწყვეტილება ვინაიდან იგი არის 5-ჯერ ნასამართლევი, თანაც არ აქვს იმედი, რომ სააპელაციო ინსტანციაში მოსამართლე გამოიტანს სხვა გადაწყვეტილებას. მოსამართლემ პირველ ინსტანციაში მას მინიმალური სასჯელი დაუნიშნა.

ცხაკაია კახა¹³

აღნიშნულ საქმეზე კახა ცხაკაია ცნობილი იქნა ბრალდებულად და ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მიერ აღკვეთის ღონისძიებად შეუფარდა დაპატიმრება 3 თვით. 2005 წლის 12 დეკემბერს დამცველმა მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიას და მოითხოვა კახა ცხაკაიას გათავისუფლება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 401-ე მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნების გამო, კერძოდ, პატიმრობაში მყოფ ბრალდებულს, მის დამცველსა და კანონიერ წარმომადგენელს გამომძიებელი წერილობით ატყობინებს წინასწარი გამოძიების დამთავრების შესახებ და ბრალდებულის პატიმრობის ამ კოდექსით დადგენილი ზღვრული ვადის გასვლამდე არა უგვიანეს 15 დღისა გასაცნობად წარუდგენს საქმის მასალებს. აღნიშნული ვადის დარღვევის შემთხვევაში, პატიმრობის ვადის გასვლისთანავე ბრალდებული დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს. კანონის მიხედვით, სასამართლო სხდომა უნდა ჩატარებულიყო უახლოეს დროში. მიუხედავად ამისა, სასამართლო ყოვლად უსაფუძვლო, გაუგებარი და კანონსაწინააღმდეგო მოტივების მოშველიებით აჭიანურებდა სხდომის დანიშვნას.

¹² დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260 (2), “დ” და “ე” ქვეპუნქტებით. (თბილისი)

¹³ დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177 (II –ა,გ), (III-გ) მუხლებით (თბილისი)



ადამიანის უფლებათა საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრი სასამართლოს მონიტორინგი

I ინსტანციამ სხდომა ამ საქმეზე მრავალჯერ გადადო, რაც ისევ და ისევ არღვევდა ბრალდებულის უფლებებს, რომ დროული გადაწყვეტილება მიეღო თავის საქმეზე. საბოლოოდ, 2006 წლის ნოემბრის ბოლოს მოსამართლემ ცხაკაიას მიმართ გამოიტანა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა.

ბაღდადაშვილი შოთა¹⁴

ბაღდადაშვილს ბრალი ედება ყაჩაღობაში, რისთვისაც პირველმა ინსტანციამ მას მიუსაჯა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა. სააპელაციო ინსტანციაში ბრალი მას არ მოეხსნა, თუმცა ეს ბრალი მხოლოდ დაზარალებულის სიტყვებს ეფუძნება. მოწმის ჩვენება არასარწმუნოა. დაზარალებული განმარტავს, ეჭვი ეპარება, რომ მმარცველი შ. ბაღდადაშვილი იყო. ამიტომ საქართველოს სსსკ-ის მე-10 მუხლის შესაბამისად – “ყოველგვარი ეჭვი, რომელიც არ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ეჭვიტანილისა და ბრალდებულის სასარგებლოდ”.

რაც შეეხება ამოცნობას, აღნიშნული საგამომიებო მოქმედება ჩატარდა საპროცესო ნორმების უბეში დარღვევით. კერძოდ, დაზარალებული სასამართლოზე აღიარებს, რომ იგი პატრულის თანამშრომლებთან და დაკავებულებთან ერთად ერთი მანქანით მივიდა პოლიციის განყოფილებაში. საქმეში არსებულ ამ ფაქტს სასამართლო არ აქცევს ყურადღებას.

აღნიშნული დანაშაულის ჩადენის დღეს, 2004 წლის 27 ნოემბერს ბაღდადაშვილი საერთოდ არ იმყოფებოდა თბილისში, რასაც ადასტურებს არაერთი მოწმე როგორც წინასწარ გამოძიებაში, ასევე სასამართლოში.

მოწმე ფატმან ქუთელია (დაზარალებულის ირმა ქუთელიას და) აღნიშნავს, რომ ირმა ქუთელიამ უთხრა, რომ საბუთები დაკარგა, ერთი წლის მერე კი უთხრა დამაყაჩაღესო.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აღნიშნული საქმე აგებულია მხოლოდ დაზარალებულის ჩვენებაზე, რომელსაც უპირისპირდება ამდენი მოწმის ჩვენება. სააპელაციო ინსტანციამ გამოიტანა გადაწყვეტილება ბაღდადაშვილის 6 წლით დაპატიმრებაზე.

ჯალაბაძე გიორგი¹⁵

ქართულ სასამართლო პრაქტიკაში ძალზედ იშვიათად ხდება ისე, რომ როდესაც პირი დადანაშაულებულია 260-ე მუხლის III ნაწილით (ნარკოტიკული საშუალების შენახვა, ტარება, განსაკუთრებით დიდი ოდენობით) პროკურატურამ გაუფორმოს საპროცესო შეთანხმება მიზეზული შეთანხმებით. აღსანიშნავია რომ ჯალაბაძის საქმეში ლაპარაკია 67 გრამ ოპიუმზე, რაც მართლაც ძალზედ დიდი რაოდენობაა. მიუხედავად ამისა, ჯალაბაძეს გაუფორმდა საპროცესო შეთანხმება და განესაზღვრა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა და 15000 ლარის ჯარიმა. საპროცესომდე ჯალაბაძე 9

14 დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177 (II –ა,გ), (III-გ), 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის `ა`, `გ` და `დ` ქვეპუნქტებით და 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის ა და ბ ქვეპუნქტებით (თბილისი)

15 დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილით (თბილისი)



ადამიანის უფლებათა საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრი სასამართლოს მონიტორინგი

თვის განმავლობაში იყო პატიმრობაში. სასამართლო პროცესები გამუდმებით იდებოდა პროკურატურის მიზეზით. საბოლოოდ ისე მოხდა, რომ ჯალაბაძე დათანხმდა 1 წლიან სასჯელს.

აღნიშნული საპროცესო შეთანხმებიდანაც აშკარად გამომდინარეობს ჯალაბაძის უდანაშაულობა. რასაც ახლა აღვნიშნავთ, უფრო დამაფიქრებელია, რადგან ამ შეთანხმების გაფორმებიდან ერთ თვეში სასჯელაღსრულებითი დეპარტამენტი ატარებს საკნების შემოწმებას და შემოწმების მერე აცხადებს, რომ თითქოს გიორგი ჯალაბაძის საწოლ ლოგინში აღმოაჩინეს ე.წ. შტირი და ეს მაშინ, როდესაც გიორგი ჯალაბაძე რამოდენიმე დღეში უნდა გაეთავისუფლებინათ პატიმრობიდან.

მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ასევე, რომ ჯალაბაძემ ამ ფაქტამდე 2- ჯერ შეძლო თავი ემართლა პროკურატურის მიერ მის მიმართ წარდგენილ ბრალდებებზე. პირველად ბრალი ედებოდა ყაჩაღობის ჩადენაში, რა დროსაც მოხდა დაზარალებულის მკვლელობაც, ამ საქმიდან (2005 გაზაფხული) გათავისუფლების მერე (ვადამდე პირობით გათავისუფლება ეკუთვნოდა და გამოიყენა ეს შესაძლებლობა) მას 5 დღეში გაუფორმეს, რომ ჩაიდინა ნარკოტიკული დანაშაული ანუ მეორედ 67 გრამ ოპიუმზე დაიჭირეს. ახლა კი მიმდინარეობს ე.წ. შტირის აღმოჩენის საქმის კვლევა (378” მუხლის I ნაწილი), როდესაც ის 29 ნოემბერს 2006 წელს უნდა გათავისუფლებულიყო.

ნიშნაინძე ონისე¹⁶

პოლიციელები, რომლებიც იღებდნენ მონაწილეობას საქმეზე ვერ იხსენებენ დეტალებს, თუ რატომ მოხდა ჩხრეკის არა ადგილზე, არამედ პოლიციის განყოფილებაში ჩატარება.

ამის შემდეგ, მოწმის სახით სასამართლოში იკითხება თავად განსასჯელი, რომელიც აღიარებს, რომ ადრე ორჯერაა სასამართლოში ყაჩაღობაზე და იარაღის უკანონო ტარებაზე. არც იმას უარყოფს, რომ იყო ნარკოტიკების მომხმარებელი, თუმცა წარდგენილ ბრალდებაში თავს დამნაშავედ არ სცნობს.

საავადმყოფოში იყო ჩხრეკის ჩატარებისათვის ყველა პირობა, მაგრამ რატომღაც ეს ჩხრეკა ადგილზე კი არა, პოლიციის განყოფილებაში ჩატარდა. ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დასტურდება კანონით დადგენილი წესით უნდა გადაწყდეს ეჭვმიტანილისა და ბრალდებულის სასარგებლოდ. ამაზე მოსამართლემ არ გაამახვილა ყურადღება. სასამართლომ საბოლოოდ ონისე ნიშნაინძეს 7 (შვიდი) წლით პატიმრობა მიუსაჯა.

ონისემ უარი განაცხადა აპელაციაზე, რადგან არ აქვს იმედი, რომ სააპელაციო ინსტანცია გაითვალისწინებს მის უდანაშაულობას აღნიშნულ საქმეში.

ბათიაშვილი ირაკლი¹⁷

¹⁶ დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილით (თბილისი)

¹⁷ დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 25 და 307-ე, 315-ე მუხლის მესამე ნაწილით და 376-ე მუხლით” (თბილისი)



ადამიანის უფლებათა საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრი სასამართლოს მონიტორინგი

ირაკლი ბათიაშვილი, ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი, რომელიც 1990-იან წლებში საქართველოს თავდაცვის მინისტრი იყო, დაპატიმრებულია და ბრალი ედება მემბოხე ემზარ კვიციანთან მოლაპარაკებებში და ამბოხების მომზადების მცდელობაში საქართველოს კონსტიტუციური წყობილების ძალადობით დასამხობად,- განაცხადა გენერალურმა პროკურორმა 2006 წლის 29 ივლისს.

„ირაკლი ბათიაშვილი ემზარ კვიციანს აძლევდა რეკომენდაციებსა და ინსტრუქციებს სახელმწიფო ხელისუფლების დასამხობად, უფრო მეტიც, არ შეატყობინა საქართველოს ხელისუფლების შესაბამის ორგანოებს, რომ აფხაზეთის დეფაქტო თავდაცვის მინისტრის მოადგილე გარი კუპალბა კვიციანს ჰპირდებოდა საბრძოლო მასალით დახმარებას“, - განუცხადა ჟურნალისტებს გენერალური პროკურორის მოადგილე კახა კობერიძემ 29 ივლისს. ბათიაშვილი უარყოფს ბრალდებას, ხოლო ოპოზიციის ლიდერები აცხადებენ, რომ მისი დაპატიმრების მიზეზი პოლიტიკურია. შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოაქვეყნა ემზარ კვიციანისა და ბათიაშვილის საუბრის ჩანაწერი, სადაც კვიციანი იძახის, რომ კუპალბა სთავაზობს აფხაზ მეომრებს დახმარებას საქართველოს შეიარაღებული ძალების მოგერიებაში. მოგვიანებით, ბათიაშვილი უცხადებს ტელეკომპანია რუსთავი 2-ს, რომ ჩანაწერიდან ამოჭრილია ის ნაწილი, სადაც კვიციანი უარს უებნება კუპალბას აღნიშნულ შეთავაზებაზე. ამავე ამოჭრილ ნაწილში ბათიაშვილი აგულიანებს კვიციანს, სადაც ეუბნება „გამაგრდით“-ო. პატიმრობის ვადა ამ საქმეზე უკვე ორჯერ იქნა გაგრძელებული. საქმე I ინსტანციაშია.

მანუკიანი, თოფჩიანი, ნებიერიძე, გოგიაშვილი¹⁸

მანუკიანს და დანარჩენ სამ ბრალდებულს ბრალი ედებათ გატაცებაში. ბრალი ძირითადად გამყარებულია დაზარალებულთა ჩვენებებით, რომლებიც სასამართლო სხდომაზე დასმულ კითხვებზე პასუხობდნენ «არ მახსოვს». დაზარალებულებმა განსასჯელები ერთი წლის მერე ამოიციან, რადგან გამოძიება მხოლოდ ერთი წლის მერე დაიწყო. სასამართლომ არ მოახდინა რეაგირება იმ ფაქტზე, რომ ე. მამედოვისა და ნ. ქოზაშვილის გატაცების ფაქტი, მისი ჩადენის დღიდან იყო ცნობილი პოლიციის მაღალჩინოსნებისთვის. მაგრამ მათ საქმე მხოლოდ ერთი წლის მერე აღძრეს. სასამართლომ არ გაიზიარა მანუკიანის ალიბი და არასარწმუნოდ მიიჩნია იგი, მაგრამ არ იმსჯელა თუ რის საფუძველზე. საქმე სააპელაციო ინსტანციაშია.

თავდგირიძე გიორგი¹⁹

მას ბრალი ედება იმაში, რომ იყო რა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ეროვნული აკადემიის რექტორი, არ მოახდინა აკადემიაში ხელშეკრულებით

¹⁸ დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლი სამართლის კოდექსის 143, 144, 188 (II) ბ, დ და 236-ე მუხლებით (თბილისი)

¹⁹ დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 332 (II), (III), 333 (I), (III) და 383 (I), (II) ბ. (თბილისი)



ადამიანის უფლებათა საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრი სასამართლოს მონიტორინგი

შტატგარეშე თანამშრომლებთან ხელშეკრულებების გაუქმება და ამასთან, მოახდინა ახალი ხელშეკრულებების გაფორმება.

აქვე აღსანიშნავია თავდაცვის სამინისტროს გენერალური შტაბის მოქმედება. თუ გიორგი თავდგირიძე არღვევდა კანონს, მინისტრის ბრძანებების საწინააღმდეგოდ ახდენდა ხელშეკრულებების საფუძველზე ცალკეული თანამშრომლებისთვის ხელფასის გადახდას, რატომ ხდებოდა გენერალური შტაბიდან აკადემიის დაფინანსება თვეების განმავლობაში. თავდგირიძე არ იყო სათანადოდ ინფორმირებული, რომ რაიმეს არღვევდა, რის გამოც მისი დადანაშაულება ამ კუთხით არ იქნებოდა სწორი. სააპელაციო ინსტანციამ საქმე კვლავ პირველ ინსტანციაში დააბრუნა.

გლურჯიძე, გუგუშვილი, ხმალაძე²⁰

სამივე განსასჯელი არის არასრულწლოვანი 16 და 17 წლის. ყაჩაღობა მოხდა ქუჩაში, დაყაჩაღდა ვინმე ტარასოვი, რომელიც დაზარალებულად ცნეს საქმეზე (ყაჩაღებმა ფოტოაპარატი ზენიტი წაართვეს).

ამ საქმეში მნიშვნელოვანი დარღვევაა, რადგან საქმიდან ირკვევა, რომ ამოცნობის ჩატარებისას ტარასოვმა განაცხადა, რომ არ იცნობდა არავის წარდგენილთაგან, ფაქტიურად ვერ ამოიცნო. მაგრამ რომ გამოვიდა ამოცნობის შემდეგ, განაცხადა, რომ ამოსაცნობ ოთახში ღელავდა, და რომ ნამდვილად გაახსენდა, რომ გლურჯიძე იყო ერთ-ერთი დამნაშავე. ეს ფაქტი კანონსაწინააღმდეგოა (საქართველოს სისხლი სამართლის საპროცესო კოდექსის 347-ე მუხლი). საბოლოოდ, I ინსტანციის სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანის დროს ფაქტიურად ეყრდნობა ამ მტკიცებულებას. ამჟამად საქმე სააპელაციო ინსტანციაშია.

ნემსიწვერიძე მ. და ვ., მინდაძე დავითი²¹

ძმები ნემსიწვერიძეები და მინდაძე დავითი დადანაშაულებულები არიან მკვლელობის მცდელობისათვის, იარაღის უკანონოდ ტარებისათვის. წინასწარი გამოძიებისას მინდაძე დავითი ცემეს და აიძულებდნენ მიეცა ნემსიწვერიძეების საწინააღმდეგოდ ჩვენება.

გამოძიებამ მინდაძეს ადვოკატიც კი შეუცვალა, შემდგომ კი ეს ადვოკატი გამოიყენა შუამავლად ფულის გადაცემისას. სასამართლო პროცესზე ირკვევა, რომ ფულის მიცემის ფაქტი გადაღებულია ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის პროგრამა „60 წუთის“ ოპერატორის მიერ მინდაძის მეუღლის ტანსაცმელზე მიმაგრებული ფარული კამერით.

საქმე უკვე 2 წელიწადი იხილება, ამჟამად კი სააპელაციო ინსტანციაშია.

²⁰ დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 178 (II), 179 (II) მუხლებით. (თბილისი)

²¹ დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლი სამართლის კოდექსის 19 – 109, 362, 220, 182, 236 მუხლებით. (თბილისი)



ადამიანის უფლებათა საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრი სასამართლოს მონიტორინგი

ზურაბიანი, ჯოჯუა, კოპალაძე²²

ამ საქმეზე სასამართლო განხილვის I სტადიაზე დაზარალებული (რომელიც ერთადერთი მოწმეა საქმეზე) აცხადებს, რომ არ იცნობს არც ერთ განსასჯელს. ეს უკვე საკმარისია, რომ ბრალდებას საფუძველი გამოსცლოდა რადგან სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 72-ე მუხლის მიხედვით არ არსებობდა საკმარისი საფუძველი პირებისთვის ბრალის წასაყენებლად. ამ საქმეზე არსებული ერთადერთი მოწმე აცხადებს, რომ ბნელოდა, დამნაშავეებს ქუდები ეხურათ, თან 8 მეტრის დაშორებით დავინახე ისინიო. ხდება ამ საქმეზე პროცესის დაუსრულებლად გადადება, რითაც ისევ და ისევ ირღვევა სასამართლოსგან გადაწყვეტილების დროული მიღების უფლება.

მიქიაშვილი გიორგი²³

მიქიაშვილს ბრალი ედება პოლიციის მუშაკისათვის წინააღმდეგობის გაწევისათვის. უშუალოდ დაპატიმრებისას და დაპატიმრების შემდეგ მიქიაშვილი ისე სცემს პოლიციელებმა, რომ საჭირო ხდება მისი მკურნალობა. სამედიცინო კომისიის მიერ მიქიაშვილი გადაყვანილ იქნა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის სამკურნალო დაწესებულებაში და მოთავსებულ იქნა ფსიქიატრიული განყოფილებაში, სადაც მკურნალობს უკვე 8 (რვა) თვეა. პირველმა ინსტანციამ მიქიაშვილს ერთი წლითა და ექვსი თვით პატიმრობა შეუფარდა.

აღსანიშნავია, რომ არც ერთი პოლიციელის წინააღმდეგ არ აღძრულა საქმე მიქიაშვილის ცემის ფაქტზე. განსასჯელი კვლავ ციხეშია, საქმე კი სააპელაციო ინსტანციაში გადაიგზავნა, სადაც უკვე მესამედ გადაიდო. ეს კიდევ ერთი ფაქტია საქმეზე გადაწყვეტილების მიღების გაჭიანურებისა.

ხუნაშვილი ზაზა და მამუკა²⁴

მშებ ხუნაშვილებს ბრალი ედებოდათ ხულიგნობაში და იმყოფებოდნენ პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ.

თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიამ ბრალდებულებს ზაზა ხუნაშვილისა და მამუკა ხუნაშვილის ჩადენილი დანაშაულისათვის თითოეულს ცალ-ცალკე მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა 2(ორი) წლის ვადით, რაც საქართველოს სსკ-ის 63-ე მუხლის მიხედვით შეეცვალათ პირობითი მსჯავრით და გამოსაცდელ ვადად დაენიშნათ ორი წელი.

უზენაეს სასამართლოში განსასჯელები ზაზა ხუნაშვილი და მამუკა ხუნაშვილი ცნობილ იქნენ დამნაშავედ სსკ-ის 239-ე მუხლის შესაბამისად და გამოსაცდელ ვადად დაენიშნათ 2 წელი და ასევე დაეკისრათ ვალდებულება აუნაზღაურონ დანაშაულით

²² დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლი სამართლის კოდექსის 178, 179, 236 (I), (II), (III) მუხლებით, კოპალაძეს არ აქვს 179-ე მუხლი წარდგენილი. (თბილისი)

²³ დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლი სამართლის კოდექსის 353 (I) მუხლით. (თბილისი)

²⁴ დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლი სამართლის კოდექსის 239-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (თბილისი)



ადამიანის უფლებათა საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრი სასამართლოს მონიტორინგი

მიყენებული მორალური ზიანი 1600 ლარის ოდენობით. უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

ბათალბი სალინაძე, ვახტანგ ბიბლაია ²⁵

განსასჯელები არიან სახელმწიფო მოხელეები, რომელთაც ბრალი ედებათ ძალაუფლების ბოროტად გამოყენებაში, მოწმის დაშინებასა და ზეწოლაში. დაზარალებულ მურავიოვის სასამართლოზე მიცემული განმარტებით, სალინაძემ უთხრა, რომ ისეთი ჩვენება უნდა მიეცა, როგორც მათ უნდოდათ, ხოლო ბიბლაია დაემუქრა და ცემა იგი. ბიბლაიასთან ამჟამად გაფორმებულია საპროცესო შეთანხმება, რომლის მიხედვითაც, ის აღიარებს წაყენებულ ბრალს. მისგან განსხვავებით სალინაძე უარყოფს ბრალს. საქმე პირველ ინსტანციაშია.

ადმინისტრაციული საქმე

საქმის დროული მოძრაობა სასამართლოებს შორის არის კიდევ ერთი პრობლემა. ამის მაგალითია ბათუმის საქალაქო სასამართლოს წარმოებაში არსებული ადმინისტრაციული საქმე, რომელსაც განიხილავდა მოსამართლე ჯემალ კიკნაძე. დავა შეეხებოდა საკომპენსაციო თანხის გაცემას იძულებით გადაადგილებულ პირებზე - დევნილებზე. ბათუმის საქალაქო სასამართლომ საქმე განიხილა 2006 წლის 15 მაისს და ამავე პროცესზე გამოაცხადა გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი, რომლითაც იძულებით გადაადგილებულ პირთა მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა. მოსამართლემ აღნიშნა, რომ გადაწყვეტილების გასაჩივრება შეიძლება მხარეებზე გადაწყვეტილების ასლის გადაცემიდან 14 დღის ვადაში ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში ბათუმის საქალაქო სასამართლოს მეშვეობით. წერილობითი და სიტყვიერი მოთხოვნის შემდგომ დასაბუთებული გადაწყვეტილება სასამართლომ ჩამოაყალიბა და მხარეს ჩააბარა 30 მაისს, ე.ი საპროცესო ნორმების დარღვევით. აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი შეტანილი იქნა მეორე დღესვე, 31 მაისს. ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ აღნიშნული გასაჩივრებული საქმე მასთან დააყოვნა 14 დღის განმავლობაში. მომჩივანის მიერ საქმის გადაგზავნის შესახებ მოსამართლესთან არაერთხელ მისვლის, ინფორმაციის მისაღებად - გაგზავნა თუ არა გასაჩივრებული საქმე ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში, მოსამართლე და თანაშემწე მოუცლელობას იმიზეზებდნენ, რითაც დაირღვა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 371-ე მუხლი, რომლითაც „სააპელაციო საჩივრის შესვლის შემდეგ, პირველი ინსტანციის სასამართლო დაუყოვნებლივ გადაუგზავნის სააპელაციო სასამართლოს მთლიანად საქმეს, აგრეთვე დამატებით შემოსულ ყველა მასალას“.

²⁵ ბათალბი სალინაძეს ბრალი ედება სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის ა, ბ, გ ქვეპუნქტებით, 335-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 236-ე მუხლის I ნაწილით, 363-ე მუხლის I ნაწილით და 126-ე მუხლის II ნაწილის “თ” ქვეპუნქტით დანაშაულების ჩადენაში. ვახტანგ ბიბლაიას ბრალი ედება სსკ-ის 126 მუხლის (II) ნაწილის თ) ქვეპუნქტით, 335-ე მუხლის II ნაწილით დანაშაულების ჩადენაში (თბილისი)



ადამიანის უფლებათა საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრი სასამართლოს მონიტორინგი

აღნიშნული საქმე სასამართლომ კანცელარიას 14 ივნისს ჩააბარა. 7 ივლისს საქმე ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს კანცელარიაში ჯერ კიდევ არ იყო რეგისტრირებული.

მანუჩარ ანანიძე²⁶

მუშაობდა იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქ. ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურის უფროსად. მას ქ. ბათუმის ხიმშიაშვილის #9-ში არსებული რამოდენიმე ათასი კვ.მ.-ის მიწის ნაკვეთის უკანონო რეგისტრაციას ედავებოდა. ბრალად სამსახურეობრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება ედება.

გამოძიება 333-ე მუხლის I ნაწილში სდებდა ბრალს (სამსახურეობრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება) პროკურორმა მოითხოვა მანუჩარ ანანიძის დამნაშავედ ცნობა, თავისუფლების აღკვეთა განსასჯელისათვის 6 წლისა და 6 თვის ვადით. მერიის წარმომადგენელი დაეთანხმა მის მიერ მიცემულ ჩვენებას. განსასჯელის ინტერესების დამცველი ადვოკატები მიუთითებენ, რომ თეორიულად ამ დანაშაულის ჩადენა ხდება განზრახ. არც განზრახვა არ არის დადგენილი და არც არსებითი ზიანი დგინდება. მერიის წარმომადგენელმა ვერ ახსნა რა ზიანი მიადგა ქ. ბათუმის მერიას.

მანუჩარ ანანიძე ცნობილი იქნა დამნაშავედ 333-ე მუხლის I ნაწილით სასჯელის ზომად განესაზღვრა 10 თვით თავისუფლების აღკვეთა. იყო საუბარი იმასთან დაკავშირებით, რომ პროკურატურა განსასჯელ მანუჩარ ანანიძეს საპროცესო გარიგებაზე წასვლას სთხოვდა, მაგრამ ამაზე განსასჯელმა უარი განუცხადა პროკურატურას, რადგანაც სურდა დაემტკიცებინა თავისი უდანაშაულობა და ელოდებოდა გამამართლებელი განაჩენის გამოტანას.

მერაბ თურმანიძე²⁷

2004 წლის 7 აგვისტოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და აჭარის მთავარი სამმართველოს მუშაკების მიერ, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, ქ. ბათუმში მელიქიშვილის ქ. #4/39-ში ჩატარეს საცხოვრებელი ბინის ჩხრეკა, რის შედეგადაც, საცხოვრებელი ბინიდან ამოღებული იქნა ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“. ჩხრეკა ჩატარდა ორი თანამოწმის თანდასწრებით ყოველგვარი პროცესუალური ნორმების დაცვით. ორი თვის გასვლის შემდეგ წინასწარ გამოძიებაში ერთ-ერთმა მოწმემ - ბერიძემ განცხადებით მიმართა გამოძიებას და შეცვალა ჩვენება.

²⁶ დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლი სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის I ნაწილით. (ბათუმის სასამართლო)

²⁷ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლის პირველი ნაწილით და 341-ე მუხლით. (ბათუმის სასამართლო)



ადამიანის უფლებათა საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრი სასამართლოს მონიტორინგი

სასამართლო პროცესზე საქმის განხილვისას მოწმის სახით დაკითხულმა დამსწრე ბერიძემ აჩვენა რომ, ჩხრეკის ოქმზე ხელწერა შესრულებული იყო მის მიერ. მაგრამ სასამართლოს პროცესზე აცხადებს, რომ წინასწარ გამოძიებაში მის მიმართ განხორციელებული ზეწოლის გამო, იგი იძულებული იყო შეეცვალა ჩვენება. მოწმის მიერ ჩამოყალიბებული ამ ჩვენების გადასამოწმებლად და დასამტკიცებლად სახელმწიფო ბრალმძებლის შუამდგომლობით დანიშნულ იქნა განმეორებითი გრაფიკული ექსპერტიზა კომისიური წესით. ექსპერტიზის დასკვნით, დადგენილ იქნა, რომ ჩხრეკის ოქმზე შესრულებული ხელწერა ეკუთვნოდა თვით მოწმეს და არა სხვა პირს, რამაც დაადასტურა უფროს ინსპექტორ თურმანიძის უდანაშაულობა.

უდავოა ის ფაქტი, რომ სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების არ არსებობა სწორედ სასამართლო განხილვის სტადიაზე გამოვლინდა და ზემოთმოხსენიებული სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 28-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, სასამართლოს უნდა დაემთავრებინა საქმის განხილვა და გამოეტანა გამამართლებელი განაჩენი. პროკურორმა სასამართლო პროცესზე დამძიმების ბრალდებით დაყენებული შუამდგომლობით საქმე დაიბრუნა დამატებითი გამოძიებისათვის წინასწარ გამოძიებაში და დადგენილებით შეწყვიტა. შესაბამისად სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 28-ე მუხლის მე-4 პუნქტისა, ვინაიდან სასამართლო განხილვის სტადიაზე გამოვლინდა სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების არ არსებობა სასამართლოს უნდა დაემთავრებინა საქმის განხილვა და გამოეტანა გამამართლებელი განაჩენი, მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სისხლის სამართლის საქმეზე გამამართლებელი განაჩენი აღარ გამოდის კარგა ხანია.

მანუჩარ ჭითაბერიძის, ზაურ დევაძე, ზაზა გელაშვილი²⁸

აღიძრა სისხლის სამართლის საქმე ძარცვის ფაქტთან დაკავშირებით, რომელიც ჩადენილი იქნა ჯგუფურად სამი პირის მონაწილეობით: მანუჩარ ჭითაბერიძის, ზაურ დევაძის და ზაზა გელაშვილის მიერ. განსასჯელებმა ნასვამ დაზარალებულს ამოაცალეს კუთვნილი პენსია 26 ლარის ოდენობით. დაზარალებულის განმარტებით, აღნიშნული მისთვის წარმოადგენდა მნიშვნელოვან ზიანს, რადგანაც იყო პენსიონერი და სხვა სახის შემოსავალი მას არ გააჩნდა. განსასჯელებს ბრალი ედებოდათ სისხლის სამართლის კოდექსის 178-ე მუხლის „ა“ და „გ“ პუნქტებით (ძარცვა, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ და რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია).

პროკურორმა ფაქტობრივად შეცვალა ბრალდება და მოითხოვა ძარცვა გადაკვალიფიცირებულიყო ანუ შეცვლილიყო ქურდობის მუხლით. მანუჩარ ჭითაბერიძე და ზაურ დევაძე აღიარებდა ბრალს და თავს სრულიად გრძნობდა დამნაშავედ, თანამშრომლობდნენ გამოძიებასთან და დანაშაულის მეორე დღესვე ბრალის აღიარებით გამოცხადდნენ სამართალდამცავ ორგანოში. მიუხედავად ამისა,

²⁸ დანაშაული გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსის 178-ე მუხლის „ა“ და „გ“ პუნქტებით (ბათუმის სასამართლო)



ადამიანის უფლებათა საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრი სასამართლოს მონიტორინგი

სამივეს შეფარდებული ჰქონდათ ორთვიანი წინასწარი პატიმრობა 26 ლარის ქურდობისათვის. ადვოკატებმა მიუთითეს შემამსუბუქებელ გარემოებებზე და აღნიშნეს, რომ განსასჯელები აღიარებდნენ ბრალს და თავს გრძნობდნენ სრულიად დამნაშავედ, თანამშრომლობდნენ გამოძიებასთან და დანაშაულის მეორე დღესვე ბრალის აღიარებით გამოცხადდნენ სამართალდამცავ ორგანოში. სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში მათი ყოფნა ცუდად აისახება მათ მომავალზე.

ლევან აბუსერიძე²⁹

დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-2-ე ნაწილი - ნარკოტიკული საშუალებების მისი ანალოგის პრეკურსორის უკანონო დანზადება, წარმოება, შექმნა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება „ა“ და „ბ“ პუნქტებით დიდი ოდენობითა და წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ.

ქ. ბათუმში კულტურის სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, დაკავებულ იქნა ნარკოტიკის რეალიზაციაში ექვმიტანილთა ჯგუფი. სახელმწიფო ოპერატიული დეპარტამენტის თანამშრომლებმა ადგილზე ვერ მოახერხეს საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება, ვინაიდან ატყდა აურზაური, შეიკრიბა ხალხის მასა, რა დროსაც, ფაქტობრივად, შეუძლებელი იყო რაიმე ღონისძიებების გატარება. ამიტომ საპატრულო პოლიციის მიერ დაკავებულები გადაყვანილ იქნენ განყოფილებაში, სადაც მოხდა ჩხრეკა და ამოღება, რის საფუძველზეც ამოღებულ იქნა ნარკოტიკული ნივთიერება. აღმოჩნდა ცხვირსახოცში შეხვეული პაკეტი. მოხდა გადაყვანა ნარკოლოგიურ დისპანსერში, საიდანაც მოვიდა დადებითი დასკვნა, რომ ეს პიროვნება იმყოფებოდა ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ.

კობა ყურბანაძე³⁰

განსასჯელი კობა ყურბანაძე პროცესში მონაწილეობდა დამცველის გარეშე. პროკურორმა სასჯელის საბოლოო ზომად მოითხოვა 9 წლით თავისუფლების აღკვეთა. საბოლოო სიტყვაში განსასჯელმა მოითხოვა სასწრაფოდ ციხეში კერძოდ, გეგუთის კოლონიაში გადაგზავნა, იგი უჩიოდა ჯანმრთელობის მდგომარეობას (ფილტვების ანთებას). ამავე სხდომის დარბაზში არ დგას მოწმის დასაკითხი ტრიბუნა. დარბაზში დაზიანებულია, დამტვრეულია მხარეთათვის და დარბაზში დამსწრე პირთათვის განკუთვნილი სკამები. პირად საუბარში განსასჯელმა აღნიშნა, რომ დაავადებული იყო ტუბერკულოზით, მას არ სურდა დამცველის აყვანა და უარი განაცხადა სახაზინო დამცველზეც. მოსამართლე როცა გავიდა სათათბირო ოთახში პროკურორი სხდომის დარბაზში რაღაცას მუშაობდა სხვა საქმეს აგვარებდა.

²⁹ დანაშაული გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის (II) ნაწილის „ა“ და „ბ“ პუნქტებით. (ბათუმის სასამართლო)

³⁰ დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177 მუხლის მე-2 ნაწილის ბ, გ, და მე-3 ნაწილის გ, დ ქვეპუნქტებით. (ბათუმის სასამართლო)



ადამიანის უფლებათა საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრი სასამართლოს მონიტორინგი

მოსამართლემ გამოაცხადა განაჩენი და განსასჯელ კობა ყურბანიძეს შეუფარდა თავისუფლების აღკვეთა 7 წლის ვადით. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ პროკურორი ბულბული მჭავანაძე განაჩენის გამოცხადებას არ ესწრებოდა.

ოთარ ცანავა³¹

სისხლის სამართლის საქმე ბრალდებულ ოთარ ცანავასადმი აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს გამოყენების თაობაზე. პროცესი წარმართა მოსამართლის კაბინეტში, რისთვისაც მოსამართლემ ბოდიში მოიხადა, რადგან არ იყო თავისუფალი დარბაზი. მოსამართლის კაბინეტში განსასჯელი ოთარ ცანავა და მისი ინტერესების დამცველი ადვოკატები ფეხზე იდგნენ, რადგანაც დასაჯდომი სკამები და შესაბამისად ადგილიც არ იყო. პროკურორმა შუამდგომლობაში მოითხოვა გირაოს სახით 20 000 (ოცი ათასი) ლარის შეფარდება. ადვოკატების მოთხოვნის მიუხედავად, რომლებიც ყურადღებას ამახვილებდნენ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 151-ე მუხლის მე-3 ნაწილზე, სადაც პროკურორი ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მოთხოვნილი აღკვეთის ღონისძიების სახის მიზანშეწონილობა და უფრო მსუბუქი აღკვეთის ღონისძიების სახის გამოყენების შეუძლებლობა. აღნიშნული მუხლები არ იქნა გათვალისწინებული. ადვოკატები მოითხოვდნენ საერთოდ არ გამოყენებულიყო აღკვეთის ღონისძიება, ხოლო თუ სასამართლო საჭიროდ მიიჩნევდა აღკვეთის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობას გამოყენებინა პირადი თავდებობა. (უნდა აღინიშნოს, რომ ეს ნორმა სასამართლო პრაქტიკაში მკვდარია). მოსამართლემ აღნიშნა, რომ მხარეები აღკვეთი ღონისძიების შეფარდების დროს ერთ პოზიციაზე შეთანხმებული მოდიან და ეგონა, რომ ამ შემთხვევაშიც ასე იქნებოდა, მოსამართლის ამ სიტყვებიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პროცესის ჩატარება მხოლოდ ფორმალური იყო.

საბოლოოდ, ბათუმის საქალაქო სასამართლომ ბრალდებულ ოთარ ცანავას აღმკვეთი ღონისძიების სახით, შეუფარდა გირაო 20 000 (ოციათასი) ლარის ოდენობით.

ირაკლი შაქარიშვილი³²

პროცესზე არ იმყოფებოდა დაზარალებული, რადგანაც ამის შესაძლებლობას საპროცესო კანონმდებლობა ანიჭებს (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 447-ე მუხლი დაზარალებულის მონაწილეობა სასამართლო განხილვაში და მისი გამოუცხადებლობის შედეგები) მას და სასამართლოში ჩვენების მიცემის შემდეგ აღარ ცხადდებიან. ამის მაგალითები პრეპტიკაში ხშირად გვხვდება.

ირაკლი შაქარიშვილს ბრალი ედებოდა სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე, 187-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით და 180-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ

³¹ დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 192 მუხლით (ძველი რედაქციით) (ბათუმის სასამართლო)

³² დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273, 187-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით და 180-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ ქვეპუნქტით (ბათუმის სასამართლო)



ადამიანის უფლებათა საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრი სასამართლოს მონიტორინგი

ქვეპუნქტით. პროკურორმა გამოიყენა შეკრებისა და შთანთქმის პრინციპი და საბოლოოდ სასჯელის ზომად მოითხოვა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა. განსასჯელის ინტერესების დამცველი ადვოკატი მიუთითებს, რომ საქმეში მტკიცებულებები არ უდევთ და პროკურორი უსაფუძვლოდ ითხოვს გამამტყუნებელი განაჩენის დადგენას და სასჯელის სახით 5 წლით თავისუფლების აღკვეთას.

განაჩენის გამოცხადებისას სასამართლოს სხდომის დარბაზში მოსამართლის ხმა გარკვევით და თითქმის არ ისმოდა, რასაც ხელს უშლიდა ასევე გარედან შემომავალი მშენებარე ობიექტიდან წარმოშობილი ხმაური. მოსამართლემ ირაკლი შაქარიშვილს საბოლოოდ სასჯელის სახით განუსაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 3 წლითა და 6 თვის ვადით.

იზაბელა ზაქარაძე, ლარისა კობალაძე, ემილ სურმანიძე³³

განიხილებოდა აღკვეთის ღონისძიების საკითხი (განსასჯელები: იზაბელა ზაქარაძე, ლარისა კობალაძე, ემილ სურმანიძე), რომელსაც მოსამართლე არ იცნობდა. შუა პროცესის მსვლელობისას მან მოითხოვა საქმე, რომელიც გამომძიებელმა მიაწოდა თავისი ჩანთიდან. ადვოკატი დანიშნული იყო სახაზინო წესით, რომელიც ასევე არ იცნობდა საქმეს და რამოდენიმე საათით ადრე ჩაერთო მის განხილვაში. ვინაიდან განსასჯელები სახელმწიფო ენას (ქართულს) არ ფლობდნენ სათანადოდ (საუბრობდნენ რუსულ ენაზე), სასამართლომ დაუნიშნა თარჯიმანი პირი, რომელიც სტაჟირებას გადის პროკურატურაში და პრაქტიკებზე დაჰყვება პროკურორებსა და გამომძიებლებს სასამართლოში. პროცესის მწარმოებელი ორგანო (სასამართლო), ვალდებული იყო პროცესის მონაწილეთათვის განემარტა მათი უფლებები. კერძოდ, პროცესის მონაწილეს, რომელმაც არ იცის ან სათანადოდ არ იცის სისხლის სამართლის პროცესის ენა, უფლება აქვს გააკეთოს განცხადება, მისცეს ჩვენება და განმარტება, განაცხადოს შუამდგომლობა და აცილება, შეიტანოს საჩივარი, სასამართლოში გამოვიდეს მშობლიურ ენაზე ან სხვა ენაზე, რომელიც იცის. მოსამართლეს მსგავსი სახის განმარტება განსასჯელთათვის არ მიუცია. მოსამართლის ბრძანება, აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს შეფარდების თაობაზე ბრალდებულს არ გადასცემია მისთვის გასაგებ ენაზე, როდესაც მისი აღნიშნული სახით გადაცემის სავალდებულობას პირდაპირ კანონი ითვალისწინებს. ს.ს.ს.კ მე-17 მუხლის მესამე პუნქტი მიანიშნებს, რომ საგამომძიებო და სასამართლო დოკუმენტები, რომლებიც კანონის მოთხოვნათა შესაბამისად უნდა გადაეცეს ბრალდებულს ან პროცესის სხვა მონაწილეს, უნდა ითარგმნოს მის მშობლიურ ენაზე ან სხვა ენაზე, რომელიც მან იცის.

გამომძიებელმა დააყენა შუამდგომლობა და ბრალი დასდო სისხლის სამართლის კოდექსის 339-ე მუხლის მე-2 ნაწილის ა ქვეპუნქტით, 118-ე მუხლით და 187-ე მუხლის პირველი ნაწილით. გამომძიებელმა მოითხოვა გირაო თითოეულზე 5000

³³ დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 339-მუხლის მე-2 ნაწილის “ა” ქვეპუნქტით, 118 მუხლით და 187 მუხლის პირველი ნაწილით (ბათუმის სასამართლო)



ადამიანის უფლებათა საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრი სასამართლოს მონიტორინგი

ლარი. პროკურორმა მხარი დაუჭირა შუამდგომლობას და ემილ სურმანიძეზე 5000 ლარის გირაო და მის უზრუნველსაყოფად პატიმრობა მოითხოვა.

იზაბელა ზაქარაძემ მხარი არ დაუჭირა აღნიშნულ შუამდგომლობას და განმარტა, რომ ის ღებულობდა მხოლოდ 33 ლარ პენსიას და გირაოს გადახდას ვერ შეძლებდა. ინტერესების დამცველმა ადვოკატმა მოითხოვა გირაოს ოდენობის შემცირება 3000 ლარამდე.

მოსამართლემ გამომძიებლის მოთხოვნა დააკმაყოფილა ნაწილობრივ დედა-შვილს აღკვეთის ღონისძიების სახით შეუფარდა 2500 ლარი გირაოს გადახდა, ხოლო სურმანიძეს 3000 ლარის გადახდა და მის უზრუნველსაყოფად დაპატიმრება. განსასჯელმა განაცხადა, რომ არ აქვს ამდენი ფული. აქვე განუმარტეს, რომ შეედლო გირაოში უძრავი ქონების ჩადება. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ პროკურორი მოსამართლის ბრძანების გამოცხადებას არ ესწრებოდა, მან გამომძიებელს დავალებები მისცა და განაჩენის გამოცხადებამდე დატოვა სასამართლოს შენობა. პროკურორმა გამომძიებელს წასვლამდე გადაულაპარაკა: „გამოწერ უწყებას თითქოს განსასჯელი მიმალვამია, არ ცხადდება სასამართლო გამომძიებელზე და გასცემ ბრძანებას მის დასაკავებლად და მე-3 იზოლატორში მოსათავსებლად. ეს აუცილებლად დღეს უნდა გააკეთო“.

პაატა დუმბაძე³⁴

2006 წლის 11 ნოემბერს პროცესი დანიშნული იყო 11 საათზე, მაგრამ დაიწყო საღამოს შვიდ საათზე. განსასჯელს ამ დრომდე საკვები არ ჰქონდა მიღებული.

სასამართლო პროცესის დროს დარბაზში მობილურ ტელეფონებზე საუბრობდნენ, რაც არის ხელისშემშლელი გარემოება პროცესის წარმართვისათვის. განსასჯელი საპატიმროში იმყოფებოდა წელიწადი და ექვსი თვე. პატიმრობის ვადებს მოსამართლე აგრძელებდა საფუძვლის გარეშე, პროცესზე არ მომხდარა სახელმწიფო ბრალდების მხრიდან მტკიცებულებების ობიექტური შეფასება, აგრეთვე მტკიცებულებათ სასამართლომ გამოიყენა ამოცნობის ოქმი, რომლითაც განსასჯელი ვერ იქნა ამოცნობილი. არ მომხდარა ბრალის განსაღვრის დროს, როგორც განსასჯელის დამამძიმებელი, ისე შემამსუქებელ გარემოებებზე საუბარი, რაც არის აუცილებელი. საბოლოოდ, მას გამოუტანეს გამამტყუნებელი განაჩენი რომლითაც მას თავისუფლება შეეზღუდა 10-თი წლით.

ბონდო აბუსერიძე³⁵

13 ნოემბერს ბონდო აბუსერიძის პროცესი დაიწყო დაგვიანებით, სასამართლო დარბაზში იყო ხმაური, რომელიც ხელს უშლიდა მხარეებს. მანდატურებს ევალებათ სიწყნარის დაცვა დარბაზში, მაგრამ ისინი ვერ ასრულებდნენ თავიანთ ფუნქციას.

სასამართლო პროცესზე გამოირკვა, რომ დაზარალებულს მის მიერ მიცემულ ჩვენებაზე ისე მოაწერია გამომძიებელმა ხელი, რომ არც კი წააკითხა. დაზარალებულმა სასამართლოში განსასჯელის სასარგებლოდ უარყო წინასწარ

³⁴ სისხლის სამართლის კოდექსის 109 მუხლით, 353 მუხლის II ნაწილით.

³⁵ სისხლის სამართლის კოდექსის 276 მუხლით



ადამიანის უფლებათა საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრი სასამართლოს მონიტორინგი

გამოძიებაში მიცემული ჩვენება, რომლის მიზეზად ის ასახელებდა პოლიციელების მხრიდან ზეწოლას. როდესაც დაზარალებული ჩვენებას აძლევდა სახელმწიფო მბრალმდებელი აშკარა ზემოქმედებას ახდენდა მასზე (სასამართლო ჩვენების მიცემისას მბრალმდებელი ერეოდა დაზარალებულის საუბარში და „უსწორებდა“ ჩვენებას), რაზედაც მოსამართლე გაჩუმებული იყო და არაფერს აკეთებდა. შემდეგი პროცესი გაიმართა 20 ნოემბერს, სადაც კვლავ შეცვალა დაზარალებულმა მის მიერ წინა პროცესზე მიცემული ჩვენება და ამის მიზეზად მან კვლავ დაასახელა პროკურატურის მხრიდან ზეწოლა.

ჯემალ ვერულიძე³⁶

სასამართლო პროცესი ჩატარდა 14 ნოემბერს, მოსამართლე გახლავთ როინ კახიძე. პროცესზე, როდესაც განსასჯელს მოსამართლე შეეკითხა, თუ რაში ედებოდა ბრალი, მან არც კი იცოდა, ანუ პროკურორმა, კანონის შესაბამისად, მას საბრალდებო დასკვნა არ ჩააბარა, რომელიც მის პირდაპირ მოვალეობაში შედის და, ამის გამო, პროცესიც გადაიდო.

რაც შეეხება მანდატურებს, ისინი არ იმყოფებოდნენ სხდომის დარბაზში, რაც ასევე მანდატურების ფუნქციაში შედის.

გიორგი ბერიძე³⁷

აღნიშნულ პროცესზე მოწმის სახით გამოძახებული იყო აჩიკო რომანაძე, რომელიც ჩვენების მიცემის შემდეგ მოსამართლის მიერ გარეთ იქნა გაშვებული. მოწმემ მოითხოვა პროცესზე დარჩენა, მაგრამ მოსამართლემ მოწმის ეს უფლება დაარღვია და არ დაუშვა.

მოსამართლე არღვევდა მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპს, როდესაც პროკურორის მაგივრად აძლევდა მოწმეებს შეკითხვებს. მოწმეებს, რომელიც განსასჯელის ადვოკატის მიერ იქნა წარმოდგენილი პროცესზე, მოსამართლემ არ მისცა საშუალება თავიანთი თვალით დანახული ეთქვათ.

მოსამართლეს პროცესულურად უფლება არა აქვს წინასწარ შეაფასოს მტკიცებულება და გამოთქვას რაიმე ვარაუდი საქმესთან დაკავშირებით, მაგრამ ის შეფასებებს აკეთებდა მოწმის მიერ მიცემულ ჩვენებაზე.

ამ პროცესზეც, მანდატურები დარბაზში სიმშვიდეს ვერ იცავდნენ, რაც ხელს უშლიდა მოსამართლეს და მხარეებს პროცესის წარმართვაში. მოსამართლის მითითებით მოხდა მანდატურების მხრიდან სასამართლო სხდომის დარბაზში შესასვლელი კარების ჩაკეტვა. ამით დაირღვა საჯაროობის პრინციპი.

პროკურორმა განმეორებით დაკითხა მოწმის სახით აჩიკო რომანაძე, რომელსაც განმეორებით მისცა ერთი და იგივე შეკითხვები. განსასჯელის ადვოკატმა ამაზე პროტესტი გამოთქვა, მაგრამ მოსამართლეს რეაქციაც არ ქონდა ამ საკითხთან დაკავშირებით.

³⁶ სისხლის სამართლის კოდექსის 179 მუხლის II ნაწილის ა,გ ქვეპუნქტებით, 181 მუხლის II ნაწილის ა,ბ,გ ქვეპუნქტებით

³⁷ სისხლის სამართლის კოდექსის 223¹ მუხლით



ადამიანის უფლებათა საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრი სასამართლოს მონიტორინგი

მოსამართლე ვაშაყმაძე პროცესიდან გავიდა, როდესაც პროკურორი განსასჯელს ჰკითხავდა, რაც არის აშკარად სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის LIII თავში მითითებული პროცესუალური ნორმებისა და პრინციპების დაღვევა, მტკიცებულების სახით სასამართლოში პროკურორის მიერ წარმოდგენილ იქნა ვიდეო კასეტა, რომლითაც განსასჯელ გიორგის დანაშაული უნდა დადასტურებულიყო, მაგრამ აღნიშნული კასეტა არ იყო სრული. ამოჭრილი იყო მონაკვეთები, რაც აშკარად ეტყობოდა კიდეც ჩანაწერს. მაგრამ პროკურორი და მოსამართლე ერთად მიუთითებდნენ მტკიცებულების სრულყოფილებაზე. მეორე მტკიცებულების გამოქვეყნება მოხდა მოსამართლის სამუშაო კაბინეტში, რომელიც უნდა მომხდარიყო საჯაროდ. მტკიცებულების სახით, სასამართლოში წარმოდგენილი იყო ვიდეჩანაწერები და აგრეთვე იარაღი, რომლის საპროცესო დამაგრება უნდა მომხდარიყო წინასწარი გამოძიების დროს პროკურორის ან გამომძიებლის დადგენილებით, საქმის მასალებიდან გამომდინარე, მათი საპროცესო დამაგრება არ მომხდარა და ამაზედაც მოსამართლის მხრიდან შესაბამისი რეაგირება არ მომხდარა და მან განაჩენს აღნიშნული მტკიცებულებები დაურთო საფუძვლად. გიორგის, საბოლოოდ, სასამართლომ ექვსი წლით თავისუფლება შეუზღუდა მტკიცებულების არარსებობის პირობებში.

გიორგი გრიგალაშვილი³⁸

მოსამართლე მოწმეს, რომელიც იკითხებოდა საქმესთან დაკავშირებით, აშკარად ეხმარებოდა პასუხების გაცემაში, რომელიც ხელყოფს შეჯიბრობითობის პრინციპს. აღნიშნული პროცესიც აგრეთვე დაგვიანებით დაიწყო.

ნუგზარ ქამადაძე³⁹

ეს გახლდათ ადმინისტრაციული დავა, რომელიც ეხებოდა სამსახურში აღდგენას. დარღვევა გამოიხატებოდა შემდეგში - პროცესს არ ესწრებოდა მანდატური, რომელსაც წესრიგი უნდა დაეცვა და აგრეთვე მოსამართლემ ქამადაძის ადვოკატს არ მისცა უფლება, თვითონ დაეყენებინა სასარჩელო მოთხოვნა პროცესზე, რაც არის როგორც ადმინისტრაციული, ისე სამოქალაქო საპროცესო ნორმების უხეში დარღვევა.

ასლან აბაშიძე⁴⁰

აღნიშნულ პროცესზე, ჯერჯერობით, მხოლოდ ერთად-ერთი პროცესუალური დარღვევა დაფიქსირდა. კერძოდ, როდესაც განსასჯელის ადვოკატი შალვა შავგულიძე შეკითხვას უსმევდა მოწმეს, პასუხს სახელმწიფო ბრალმდებელი სცემდა. რა თქმა უნდა, მოსამართლემ ეს დარღვევად არ მიჩნია.

ბეგლარი გვიანიძე⁴¹

³⁸ სისხლის სამართლის კოდექსის 260 მუხლის III ნაწილი, 262 მუხლის II ნაწილით

³⁹ ადმინისტრაციული საქმე

⁴⁰ სისხლის სამართლის კოდექსის 182 მუხლის II ნაწილის ა,ბ,გ,დ ქვეპუნქტებით, 332 მუხლით

⁴¹ სისხლის სამართლის კოდექსის 260 მუხლის III ნაწილი



ადამიანის უფლებათა საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრი სასამართლოს მონიტორინგი

სასამართლო პროცესზე გამომჟღავნდა, რომ განსასჯელის მიერ მიცემული ჩვენება წინასწარი გამოძიების დროს გამომძიებელმა დაკითხვის ოქმში განზრახ არასწორედ შეიტანა. კერძოდ, განსასჯელი მიუთითებდა, რომ მას ჰყავდა მეუღლე და შვილი, რაც არის სასჯელის დანიშვნის დროს ერთ-ერთი შემამსუბუქებელი გარემოება. შემდგომ ეს გარემოება გათვალისწინებული არ იქნა მოსამართლის მიერ.

თეიმურაზ შაინიძე⁴²

განსასჯელს საშუალება არ ჰქონდა იმისა, რომ დამცველი აეყვანა შეთანხმებით, და მისი მოთხოვნითაც არ იქნა დანიშნული ადვოკატი სახაზინო წესით.

სასამართლო დარბაზის კარი პროცესის მიმდინარეობისას ჩაკეტილი იყო და, ამის გამო, პროცესაც არავინ ესწრებოდა.

განაჩენით თეიმურაზ შაინიძეს თავისუფლება სამი წლის ვადით შეეზღუდა.

ალექსი ძიმისტარაშვილი⁴³

სასამართლო პროცესი გაიმართა 24 ნოემბერს. საქმე განიხილა მოსამართლე მურმან ხამაშურიძემ. ამ პროცესზე გამოიკვეთა მანდატურების უნიათობა, ისინი თითქმის არ იმყოფებოდნენ დარბაზში.

გია გორაძე⁴⁴

მოწმის სახით სასამართლოში გამოძახებულ იქნა განსასჯელის - მინდია გორაძის და. აღნიშნულ მოწმეს მოსამართლემ არ განუმარტა უფლებები, რომელსაც მას ანიჭებს საპროცესო კანონი.

მოსამართლემ საკუთარ კაბინეტში გორაძის პროცესი 7 იანვრამდე გადადო, რაც სასამართლო სხდომის დარბაზში უნდა მომხდარიყო. საზოგადოებისათვის უცნობია, თუ რა მიზეზით მოხდა აღნიშნული პროცესის გადადება.

ლეილა კუსრაშვილი⁴⁵

ლ. კუსრაშვილი ყალბი ფულის რეალიზაციის ფაქტზე დააკავეს. როგორც წინასწარი, ასევე სასამართლო გამოძიების დროს, ბრალდებული თავს დამნაშავედ არ სცნობდა და იყენებდა დუმილის უფლებას.

ლეილა კუსრაშვილმა დუმილი დაარღვია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ბოლო სასამართლო პროცესზე მისმა ადვოკატმა ნატო ჩიხრაძემ განაცხადა, რომ პროკურორისაგან უარი მიიღო საპროცესო შეთანხმებაზე. სწორედ ამის შემდეგ ითხოვა ლეილა კუსრაშვილმა მოსამართლისგან ჩვენების მიცემის უფლება.

მიუხედავად მიცემული ჩვენებისა, მისი მონათხრობი თავის მართლების მცდელობად მიიჩნია სასამართლომ და ადვოკატ ნატო ჩიხრაძის მოთხოვნის

⁴² სისხლის სამართლის კოდექსის 178 მუხლის II ნაწილის ბ, გ ქვეპუნქტებით.

⁴³ სისხლის სამართლის კოდექსის 341 მუხლით

⁴⁴ სისხლის სამართლის კოდექსის 223¹ მუხლით

⁴⁵ დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 212-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (ლაგოდების რაიონული სასამართლო)



ადამიანის უფლებათა საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრი სასამართლოს მონიტორინგი

მიუხედავად, ჩვენების დროს დასახელებული პირების დაკითხვა საჭიროდ არ ჩათვალა.

სასამართლომ ლეილა კუსრაშვილს განაჩენი გამოუტანა საქ. სსკ-ის 212-ე მუხლის პირველი ნაწილით, 2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციით. გაითვალისწინა აგრეთვე ლ. კუსრაშვილისათვის წარსულში მე-60 (ქურდობა) მუხლით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი და საბოლოოდ მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 5 წ. და 6 თვის ვადით. მასვე დაეკისრა დაზარალებულ ლერი მღებრიშვილის სასარგებლოდ 100 ლარის გადახდა.

ლუკა რამაზაშვილი⁴⁶

პროცესზე დასაკითხად მოწვეული მოწმეები ხმამაღლა და აშკარად აცხადებენ, რომ მათ მიერ წინასწარი გამოძიების დროს მიცემული ჩვენება მათზე განხორციელებული ზეწოლისა და სხვადასხვა ხასიათის მუქარის შედეგია.

ამ ყველაფრის გამო, სასამართლო გარკვეულად დამოკიდებული ხდება პროკურატურაზე და ირღვევა მართლმსაჯულების განხორციელების ერთ-ერთი ყველაზე ძირითადი, დამოუკიდებლობის პრინციპი.

პროკურატურა ძირითადად ეყრდნობოდა წინასწარი გამოძიების დროს გამოძიებისა და პროკურატურის მიერ საქმეში ჩართულ ცრუ ჩვენებებს, რომლებსაც პროცესზე გამოძახებული მოწმეები აღარ ეთანხმებიან და აცხადებენ, რომ ჩვენება მათ არ ეკუთვნით. უფრო მეტიც, მოწმეთა ნაწილი აცხადებს, რომ გამომძიებელმა ცარიელ ფურცლებზე მოაწერინა ხელი, ზოგი კი ამბობს, რომ გამომძიებელმა მათ უკვე დაწერილ ჩვენებებზე მოაწერინა ხელი ისე, რომ არც წაუკითხავთ იგი და არც მისი შინაარსი გააცნო მათ ვინმემ.

პროცესზე დაცვის მხარის ინიციატივით მოწვეული დასაკითხი პირები ან განსასჯელის სასარგებლოდ იძლევიან ჩვენებებს, ანდა „ვერ იხსენებენ“ ფაქტებს.

განსასჯელის სასარგებლოდ მეტყველებს სასამართლო პროცესზე დაკითხული ყველა სპეციალისტის ჩვენება, რადგან მათ მიერ მოყვანილი ფაქტები და გარემოებები შეესაბამება დაცვის მხარისა და განსასჯელის მიერ მოყვანილ ფაქტებსა და გარემოებებს. იგივე ითქმის ადგილის დათვალიერების შედეგზე - ნანახმა დაადასტურა განსასჯელის ჩვენება და არა საბრალდებო დასკვნაში დაფიქსირებული ფაქტები.

დაცვის მხარე მოითხოვს გამამართლებელ განაჩენს.

რაც შეეხება იმ მოწმეებს, რომლებმაც გაბედეს და გადათქვეს მათ მიერ წინასწარ გამოძიებაში მიცემული ჩვენებები, ამჟამად ციხეში იმყოფებიან. ცხადია, ამის შემდეგ დანარჩენ მოწმეებს გაუჭირდებათ სასამართლოსთვის სიმართლის თქმა. ფაქტიურად აღნიშნული მუხლის არსებობა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში,

⁴⁶ დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „თ“ ქვეპუნქტებით, 179-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტებით, 177-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით, მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, 187-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 181-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით, 151-ე და 150 მუხლებით. (თელავის რაიონულ სასამართლო)



ადამიანის უფლებათა საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრი სასამართლოს მონიტორინგი

ეწინააღმდეგება თავად მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრობითობის პრინციპს, რადგან ბრალდების მხარეს, გააჩნია დიდი ბერკეტები მათთვის სასურველი ჩვენების მისაღებად წინასწარი გამოძიების დროს მოწმეებზე ზეწოლის განხორციელების გზით. ხოლო დაცვის მხარეს სასამართლო გამოძიებისას უკვე ესპობა შესაძლებლობა, რომ სიმართლე გამოარკვიოს სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემით დაშინებული მოწმეებისაგან, რომელთაც წინასწარი გამოძიების დროს უკვე დააწერინეს ცრუ ჩვენებები.

გურჯაანის სასამართლომ ლ. რამაზაშვილი ნაწილობრივ უდანაშაულოდ სცნო. განსასჯელ ლ. რამაზაშვილს მიესაჯა 8 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა.

დავით თამაზაშვილი⁴⁷

ერთ-ერთმა მოწმემ სასამართლოში განაცხადა, რომ დაინახა შემთხვევის ადგილიდან გაქცეული დავით თამაზაშვილი, ამჟამად განსასჯელი. მოწმე ნანა ირონაშვილი პროცესზე ადასტურებს წინასწარი გამოძიების დროს მიცემულ ჩვენებას.

რაც შეეხება განსასჯელს, მან უარი განაცხადა დაცვაზე, ამიტომ პროცესში ადვოკატი არ მონაწილეობს. იგი ჩვენების მიცემაზეც უარს აცხადებს და ამას ხსნის იმით, რომ მის მიერ მიცემულ ჩვენებას და სასამართლოს წინაშე თავის მართლებას აზრი არ ექნებოდა. თუმცა, წინასწარი გამოძიების დროს მიცემული აქვს ჩვენება, სადაც იგი თავს ნაწილობრივ დამნაშავედ სცნობდა.

პროკურორი აცხადებს, რომ საქმეში შემამსუბუქებელი გარემოებები არ არსებობს, ქმედება, რომელიც ბრალად ედება განსასჯელს ითვალისწინებს 9 წლით თავისუფლების აღკვეთას, პროკურორი ითხოვს განსასჯელს შეეფარდოს თავისუფლების აღკვეთა 9 წლის ვადით.

პროკურორი საუბრობდა მეტად ხმადაბლა და გაურკვეველად. მის მიერ ბორძიკით წაკითხული საბრალდებო დასკვნიდან ნახევარს თუ გაარკვევდნენ დარბაზში მყოფნი.

ბოლო სიტყვის წარმოთქმისას განსასჯელმა აღნიშნა, რომ პროკურორის მიერ მოთხოვნილი სასჯელის ზომა მისთვის ზედმეტად მკაცრი იქნებოდა და სასამართლოს სთხოვს სასჯელის შემსუბუქებას.

მოსამართლე თამარ ჭუნიაშვილმა გაითვალისწინა ბრალდებულის თხოვნა და მის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების თანახმად, მსჯავრდებულს მიესაჯა 7 წლითა და 6 თვის ვადით თავისუფლების აღკვეთა.

თამაზ მაჭავარიანი⁴⁸

მაჭავარიანის საქმის სასამართლო პროცესი ნამდვილად გამოირჩეოდა მცირე ხანგრძლივობით. პატიმარი იმდენად დასუსტებულია, რომ მისი ხმა

⁴⁷ დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19-108-ე მუხლით. (გურჯაანის რაიონულ სასამართლო)

⁴⁸ დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „გ“ პუნქტებით (გურჯაანის რაიონულ სასამართლო)



ადამიანის უფლებათა საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრი სასამართლოს მონიტორინგი

მოსამართლემდეც ძლივს აღწევს. ადვოკატი არ მონაწილეობს, რადგან განსასჯელდ არ აქვს დამცველის აყვანის საშუალება.

პროცესი შემოიფარგლება დაზარალებულისა და განსასჯელის მიერ მოკლე პასუხების გაცემით მოსამართლისა და პროკურორის რამდენიმე შეკითხვაზე. აქედან ირკვევა, რომ განსასჯელს ბრალად ედება ბინაში შეღწევით დივანის ქურდობა, რომელიც შეფასებულია 500 ლარად. დაზარალებული აცხადებს, რომ აღნიშნული ზარალი ანაზღაურებულია.

პროკურორი სასამართლოს მოახსენებს, რომ შემამსუბუქებელ გარემოებად მიჩნეულია ის, რომ განსასჯელი თამაზ მაჭავარიანი თავს ცნობს დამნაშავედ, არ არის ნასამართლევი და ხასიათდება დადებითად. საქმეში დამამძიმებელი გარემოებები არ არსებობს.

პროკურორმა მოითხოვა თავისუფლების აღკვეთა 5 წლის ვადით.

განსასჯელს სასამართლოს სთხოვს სასჯელის შემსუბუქებას.

მოსამართლის გადაწყვეტილებით, განსასჯელს შეეფარდა 4 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა, აქედან 1 წელი განესაზღვრა პირობით სასჯელად.

ბადრი მეპურიშვილი⁴⁹

პროცესი იწყება გამომძიებლის შუამდგომლობით აღკვეთის ღონისძიების შეცვლის შესახებ. განსასჯელ ბადრი მეპურიშვილს 9 აგვისტოს აღკვეთი ღონისძიების სახით შეეფარდა გირაო 3000 ლარის ოდენობით და მისი უზრუნველყოფის ვადად განესაზღვრა 1 თვე, რომლის განმავლობაში რჩებოდა წინასწარ პატიმრობაში. ერთი თვის გასვლის შემდეგ განსასჯელმა ვერ შეძლო გირაოს უზრუნველყოფა ვერც ფულადი თანხით და ვერც უძრავი ქონებით. ამიტომ გამომძიებელმა დააყენა შუამდგომლობა გირაოს ნაცვლად აღკვეთის ღონისძიებად წინასწარი პატიმრობის შეფარდების შესახებ. ამ შუამდგომლობას მხარი დაუჭირა პროკურორმაც, მით უფრო, რომ განსასჯელი არის წარსულში ნასამართლევი.

პროკურორი დიღმელიშვილი არღვევდა უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპს, რადგან პროცესის მიმდინარეობისას რამდენჯერმე მოიხსენია განსასჯელი მსჯავრდებულად.

ი. ნანობაშვილი⁵⁰

2006 წლის შემოდგომაზე სიღნაღში აქცია იმართებოდა პარლამენტის წევრ ნუგზარ აბულაშვილის წინააღმდეგ ადგილობრივი თვითმმართველობის მხარდასაჭერად. აქციის მსვლელობისას მოხდა ჟურნალისტთა დარბევა, ამჟამად განსასჯელთა - ი.

⁴⁹ დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის 1 ნაწილით (გურჯაანის რაიონის სასამართლო)

⁵⁰ დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტით, 187-ე მუხლით, და ვ. მუნჯიშვილისა და ჯემალ დემეტრაშვილის მიმართ, დანაშაული გათვალისწინებულია საქ. სსკ-ის 139-ე მუხლის მე-2 ნაწილით (სიღნაღის რაიონული სასამართლო)



ადამიანის უფლებათა საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრი სასამართლოს მონიტორინგი

ნანობაშვილის, ვასილ მუნჯიშვილის, ჯემალ დემეტრაშვილისა და სხვა მათი თანმხლები პირების მიერ.

მოხდა დარბევაში აქტიურად მონაწილე, ზემოთ დასახელებული პირების დაპატიმრება, გარდა ჯემალ დემეტრაშვილისა (მიუხედავად იმისა, რომ მისი მოქმედება გაცილებით მეტი აქტიურობით გამოირჩეოდა). სიღნაღის რაიონული სასამართლოს მოსამართლემ ორთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა ნანობაშვილსა და მუნჯიშვილს, ჯემალ დემეტრაშვილს კი გირაო - 5 000 ლარის ოდენობით (არასაპატიმროდ).

ადვოკატმა ლია ხუროშვილმა სასამართლოს მოახსენა, რომ ვინაიდან დაზარალებულმა რ. ქევხიშვილმა მას მხოლოდ წინა დღეს მიმართა დაცვის თხოვნით, კარგად არ იცნობს საქმის მასალებს. ამიტომ მოითხოვა პროცესის გადადება, თუმცა მოსამართლემ შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა და პროცესი გაგრძელდა.

სასამართლოს წინაშე შუამდგომლობა დააყენეს განსასჯელთა ადვოკატებმა იშუამდგომლეს, აღკვეთის ღონისძიება შესცვლოდათ გირაოთი, მუნჯიშვილს 3000 ლარის, ხოლო ნანობაშვილს 2000 ლარის ოდენობით.

განსასჯელები დაზარალებული მხრიდან დასმულ აბსოლუტურად ყველა შეკითხვაზე პასუხობენ ერთი და იმავეს: „არ მახსოვს“. ცხადია, ამის შემდეგ იბადება კითხვა, რაში ცნობენ თავს ისინი დამნაშავედ და რა დანაშაულს აღიარებენ, როცა სასამართლოს წინაშე ფაქტიურად მათ მიერ ჩადენილ ვერც ერთ ქმედებას ვერ იხსენებენ და არც აღიარებენ.

მაყვალა მაჭარაშვილი⁵¹

ადვოკატი ლია ხუროშვილი აცხადებს, რომ მ. მაჭარაშვილის მიმართ დაირღვა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის მოთხოვნა, რომლის მესამე პუნქტის მიხედვითაც, სამოქალაქო საქმეებს სასამართლოები განიხილავენ განცხადების მიღების დღიდან არაუგვიანეს 2 თვისა, ხოლო შრომითი ურთიერთობიდან გამომდინარე, დავები განხილულ უნდა იქნეს არაუგვიანეს ერთი თვისა. აღნიშნული საქმის განხილვა კი გაგრძელდა 2005 წლის 26 აპრილიდან 2006 წლის 3 ოქტომბრამდე, რითაც დაირღვა მ. მაჭარაშვილის უფლებები.

ილია მექერიშვილი⁵²

ილია მექერიშვილს ბრალად ედება 2006 წლის ზაფხულში სოფ. ჩუმლაყში რკინიგზის დაზიანებული რელსების მოპარვა. გარდა ამისა, სააქციო საზოგადოება ღვინის ქარხნის დირექტორის გელა ზაკალაშვილის კუთვნილი ცისტერნის ქურდობა, რასაც განსასჯელი კატეგორიულად უარყოფს და მოითხოვს განუმარტონ, თუ რა მტკიცებულებები გააჩნია პროკურატურას მის წინააღმდეგ. დაზარალებული

⁵¹ ადმინისტრაციული დავა (გურჯაანის რაიონული სასამართლო)

⁵² დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლისმე-3 ნაწილით (გურჯაანის რაიონული სასამართლო)



ადამიანის უფლებათა საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრი სასამართლოს მონიტორინგი

გელა ზაკალაშვილის მიერ სასამართლოსთვის მიცემული ჩვენების მიხედვით, მას მოპარული ცისტერნა დაუბრუნეს სხვა პირებმა, რომელთა ნათქვამიდან, მისთვის ცნობილი ხდება, რომ ცისტერნა მოიპარა ილია მექერიშვილმა.

პროცესზე უნდა დაკითხულიყვნენ პოლიციის თანამშრომლები რომლებმაც მოახდინეს განსასჯელ ი. მექერიშვილის დაკავება, მაგრამ ვინაიდან ისინი იმყოფებოდნენ სამსახურეობრივი მოვალეობის შესასრულებლად, ვერ შეძლეს სასამართლო სხდომაზე გამოცხადება. ამიტომ გამოქვეყნდა მათი ჩვენებები.

პროცესის მიმდინარეობისას პროკურორმა ოთხჯერ უპასუხა სატელეფონო ზარს განსასჯელის მიერ ჩვენების მიცემის დროს, რის გამოც, ცხადია, სრულად ვერ მოისმენდა მის მონათხრობს. გარდა ამისა, ის ორჯერ მივიდა მოსამართლესთან და ეჭურჩულებოდა საკმაო ხნის განმავლობაში. შემდეგ კი, დამსწრე საზოგადოებისათვის ბოდიშის მოხდისა და ყოველგვარი ახსნა-განარტების გარეშე დატოვა სასამართლო დარბაზი. პროკურორსა და მოსამართლეს შორის გამართული მოლაპარაკების განმავლობაში კი თავისუფალი საუბარი მიმდინარეობდა განსასჯელსა და დარბაზში მყოფ მის ახლობლებს შორის. გარკვეული დროის შემდეგ პროკურორი ბრუნდება და სასამართლო სხდომა გრძელდება.

განსასჯელი გამოიყურება ძალიან დაუცველად, მას ადვოკატი არ ემსახურება, რადგან არა აქვს ამის ეკონომიკური შესაძლებლობა, ხოლო სახაზინო წესით ადვოკატის დანიშვნა არც არავის შეუთავაზებია მისთვის, რითაც დაირღვა საქ. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის I ნაწ.⁵³

მტკიცებულებები ი. მექერიშვილის მიერ ცისტერნის მოპარვასთან დაკავშირებით, პროკურორს არ გააჩნია, თუმცა აღნიშნული დანაშაულის ჩადენა განსასჯელს მაინც „უმტკიცდება“ მხოლოდ დაზარალებულის ჩვენების საფუძველზე, რის გამოც ირღვევა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლის I ნაწილის მოთხოვნა მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრობითობის შესახებ და მე-18 მუხლის I ნაწილი საქმის გარემოებათა ყოველმხრივი, ობიექტური და სრული გამოკვლევის შესახებ.⁵⁴

პროკურორმა მოითხოვა თავისუფლების აღკვეთა 4 წლის ვადით . მოსამართლემ განსასჯელს მიუსაჯა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა.

დიმიტრი ჯოხაძე⁵⁵

ჯოხაძის საქმეზე წინასწარი გამოძიება დაიწყო 2006 წლის მაისის ბოლოს.

⁵³ „სასამართლო და თანამდებობის პირი, რომლებიც სისხლის სამართლის პროცესს ახორციელებენ, ვალდებული არიან ეჭვმიტანილი, ბრალდებული და განსასჯელი უზრუნველყონ დაცვის უფლებით, განუმარტონ უფლებები, მისცენ შესაძლებლობა, დაიცვან თავი კანონით ნებადართული ყველა საშუალებით, უზრუნველყონ მათი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა.“

⁵⁴ „გამომძიებელი, პროკურორი, მოსამართლე და სასამართლო ვალდებული არიან უტყუარად დაადგინონ, მოხდა თუ არა დანაშაული, ჩაიდინა თუ არა დანაშაული, ვინ ჩაიდინა იგი, და გაარკვიონ მტკიცების საგნის ყველა სხვა გარემოება სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით.“

⁵⁵ ამჟამად ქ. თბილისის #5 საპრობილის პატიმრის წარსულში ხუთჯერ ნასამართლევს მიმართ, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 181-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით. (გურჯაანის რაიონული სასამართლო)



ადამიანის უფლებათა საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრი სასამართლოს მონიტორინგი

დიმიტრი ჯოხაძემ ჩაიდინა ძალადობა არაერთგზის, სხვისი ნივთის ან ქონებრივი უფლების გადაცემის ან ქონებრივი სარგებლობის მოთხოვნა, რასაც თან ერთვის დაზარალებულის ან ახლო ნათესავის მიმართ ძალადობის გამოყენების და მათი ნივთის განადგურების მუქარა.

შ.ს. გურჯაანის სამმართველოს მუშაკებმა 2006 წლის 30 მაისს ღამით 00 საათსა და 15 წუთზე ჩაატარეს ჩხრეკა გურჯაანის რაიონის სოფ. ჭანდარში დ. ჯოხაძის საცხოვრებელ ბინაში, რა დროსაც I სართულის საძინებელი ოთახიდან ამოღებული იქნა მის მიერ მართლსაწინააღმდეგოდ შეძენილი და შენახული იარაღი და 6 ცალი ვაზნა.

აღნიშნულ დანაშაულთა ჩადენა დასტურდება დაზარალებულების - გელა ზაკალაშვილის და გიორგი ზაკალაშვილის ჩვენებებით, მოწმეების - გაიოზ ჯაფარიძის, კახაბერ ნაცვლიშვილის, ვაჟა ბედენაშვილის, ზაურ ძულიაშვილის ჩვენებებით, ჩხრეკის ოქმით, ბალისტიკური ექსპერტის დასკვნითა და საქმეში არსებული სხვა დოკუმენტებით.

სხდომის დასაწყისში მოსამართლემ მიმართა განსასჯელს კითხვით, ჩაბარდა თუ არა მას საბრალდებო დასკვნის ასლი. აღმოჩნდა, რომ განსასჯელისთვის დღემდე არ გადაუციათ იგი. მოსამართლემ პროცესზე შესთავაზა მას საბრალდებო დასკვნას გასცნობოდა, რაზედაც განსასჯელმა უარი განაცხადა. აღნიშნულით დაირღვა საქ. სსს კოდექსის 462-ე მუხლის მოთხოვნა.⁵⁶

მოსამართლემ წაიკითხა დასაკითხ მოწმეთა სია. რადგან ამ სიაში არ აღმოჩნდნენ ის ადამიანები, რომლებიც დაკითხულნი არიან წინასწარი გამოძიების სტადიაზე და ჩვენებას იძლევიან განსასჯელის სასარგებლოდ, ადვოკატი ლ. შალამბერიძემ დააყენა შუამდგომლობა, ამ ადამიანთა მოწმის სახით დასაკითხად სასამართლო პროცესზე მოწვევის შესახებ. პროკურორი ეკამათა და აღნიშნა, რომ თუნდაც წერილობით დაეყენებინა ეს შუამდგომლობა, მხარს მაინც არ დაუჭერდა. ეს არღვევს საქ. საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის I ნაწილს.⁵⁷

რადგან მოცემულ შემთხვევაში საბრალდებო დასკვნას ერთვის მხოლოდ ბრალდების მხარის მოწმეთა სია, ადვოკატი ითხოვს მცირე დროს შუამდგომლობის წერილობითი სახით წარმოსადგენად. აღნიშნული სიტუაციის გამოსასწორებლად გამოცხადდა შესვენება 5 წუთით, რაც 1 საათი გაგრძელდა.

ადვოკატმა დააყენა წერილობითი შუამდგომლობა, სადაც კონკრეტულად მიუთითა, თუ რომელი მოწმეების დაკითხვა სურდა დაცვის მხარეს. პროკურორმა მხარი არ დაუჭირა შუამდგომლობას, რადგან დასაკითხ პირთა ნაწილს განსასჯელის ოჯახის წევრები წარმოადგენენ და მათი დაკითხვა მიზანშეწონილად არ მიიჩნია. მოსამართლემ დააკმაყოფილა შუამდგომლობა და სასამართლო პროცესზე მოწმეთა

⁵⁶ „თავმჯდომარე ეკითხება განსასჯელს, გადასცეს თუ არა მას საბრალდებო დასკვნის ასლი ან დაზარალებულის საჩივარი. თუ აღნიშნული დოკუმენტები გადაცემული არ არის, სასამართლო სხდომა გადაიდება არანაკლებ 3 დღე-ღამით.“

⁵⁷ „საბრალდებო დასკვნას დაერთვის სასამართლოში გამოსამახებელ პირთა სია, რომელიც უნდა შედგებოდეს ორი ნაწილისაგან – ბრალდების დამადასტურებელ პირთა და ბრალდებულისა და დამცველის მიერ დასახელებულ პირთა სისიაგან.“



ადამიანის უფლებათა საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრი სასამართლოს მონიტორინგი

გამოცხადების უზრუნველყოფა დაცვის მხარეს მიანდო. სხდომა გადაიდო დაცვის მხარის ინიციატივით.

პროცესს ესწრებოდა ორი არასრულწლოვანი გოგონა, რითაც დაირღვა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-9 ნაწილი.

ნაწილი II

დასკვნები და რეკომენდაციები

ა) პიროვნების ხელშეუხებლობა, მისი პატივისა და ღირსების დაცვა⁵⁸

საქმეები, რომლებშიც აღნიშნული უფლება დაირღვა:

- აფხაიძე, ფაფიაშვილი, გამყრელიძე
- ნიშნიანიძე ონისე
- მიქიაშვილი გიორგი
- ბათაიძე სალინაძე, ვახტანგ ბიბლაია
- მერაბ თურმანიძე
- კობა ყურბანაძე
- ოთარ ცანავა
- იზაბელა ზაქარაძე, ლარისა კობალაძე, ემილ სურმანიძე

ბ) დაკავებისას და დაპატიმრებისას ძალის გამოყენების აკრძალვა⁵⁹

⁵⁸ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-6 მუხლის თანახმად, “სისხლის სამართლის პროცესს საფუძვლად უდევს კანონიერების, პიროვნების ხელშეუხებლობის, მისი ღირსების პატივისცემის, ჰუმანიზმის, დემოკრატიულობის, სამართლიანობისა და თანასწორუფლებიანობის ზოგადსამართლებრივი პრინციპები” საგამომიებო თუ სასამართლო მოქმედება, რომელიც ეხება პიროვნების ხელშეუხებლობას, შეიძლება იზულებით ჩატარდეს მხოლოდ მაშინ, თუ ამას უშუალოდ კანონი ითვალისწინებს. (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-12 მუხლი)

⁵⁹ თავისუფლების აღკვეთა ან პირადი თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვა დაუშვებელია სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე. (საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლი). პოლიციელი ვალდებულია ფიზიკური იძულების, სპეციალური საშუალებების და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების შესახებ წინასწარ გააფრთხილოს პირი, მისცეს საკმარისი დრო, რათა მან შეასრულოს პოლიციელის კანონიერი მოთხოვნა, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც დაყოვნებამ შეიძლება გამოიწვიოს მმოქალაქის და/ან პოლიციელის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ხელყოფა, სხვა მიმე შედეგი, ან თუ შექმნილ სიტუაციაში შეუძლებელია ასეთი გაფრთხილების გაკეთება. („საქართველოს პოლიციის შესახებ კანონის“ მე-10 მუხლი). დაუშვებელია ადამიანის წამება, მის მიმართ არაკომანდური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახველი მოპყრობისა თუ დასჯის მეთოდების გამოყენება (კონსტიტუციის მუხლი # 17). საგამომიებო მოქმედების ჩატარებისას დაუშვებელია ძალის, მუქარის, შანტაჟის, მოტყუებისა და სხვა უკანონო ხერხების გამოყენება, ასევე დაუშვებელია ამ მოქმედებაში მონაწილე პირებისა და სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შექმნა. (საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 286-ე მუხლი). პოლიციელის საქმიანობის განხორციელების ფორმები, მეთოდები და საშუალებები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით. გამოყენებული მეთოდები და საშუალებები არ უნდა აყენებდეს ზიანს ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, არ უნდა ლახავდეს მის პატივსა და ღირსებას, აგრეთვე ზიანს არ უნდა აყენებდეს გარემოს (საქართველოს „პოლიციის შესახებ კანონის“ მე-9 მუხლი). პოლიციელს უფლება აქვს გამოიყენოს ფიზიკური იძულება, მათ შორის, ორთაბრძოლის სპეციალური ხერხები პირადი ან/და მოქალაქეთა დაცვის უზრუნველსაყოფად, დანაშაულის და /ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის აღსაკვეთად, დამნაშავისა და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის დასაკავებლად, თუ უშუალოდ მეთოდების გამოყენება ვერ უზრუნველყოფს პოლიციელის მიერ კანონით დაკისრებული მოვალეობის შესრულებას (პოლიციის შესახებ კანონის მუხლი #11). პოლიციელს ეკრძალება ისეთი ფიზიკური იძულების და სპეციალური საშუალების გამოყენება, რომელიც ადამიანის მიმე დასახიჩრებას იწვევს,



ადამიანის უფლებათა საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრი სასამართლოს მონიტორინგი

საქმეები, რომლებშიც აღნიშნული უფლება დაირღვა:

- აფხაიძე, ფაფიაშვილი, გამყრელიძე
- მალანია ირაკლი
- ნიშნიანიძე ონისე
- მიქიაშვილი გიორგი

გ) დაკავებისა და დაპატიმრების მიზეზის დაუყოვნებლივ გაცნობის უფლება⁶⁰

საქმეები, რომლებშიც აღნიშნული უფლება დაირღვა:

- ნიშნიანიძე ონისე
- ნემსიწვერიძეები
- მერაბ თურმანიძე
- იზაბელა ზაქარაძე, ლარისა კობალაძე, ემილ სურმანიძე
- დიმიტრი ჯოხაძე

დ) იურიდიულილ დახმარების მოთხოვნის უფლება⁶¹

საქმეები, რომლებშიც აღნიშნული უფლება დაირღვა:

იზაბელა ზაქარაძე, ლარისა კობალაძე, ემილ სურმანიძე

დაკავშირებულია გაუმართლებელ რისკთან ან იკრძალება საერთაშორისო კონვენციებითა და საერთაშორისო აქტებით (საქართველოს „პოლიციის შესახებ კანონის“ მუხლი #10). საგამომიებო თუ სასამართლო მოქმედება, რომელიც ეხება პიროვნების ხელშეუხებლობას, შეიძლება იძულებით ჩატარდეს მხოლოდ მაშინ, თუ ამას უშუალოდ კანონი ითვალისწინებს. (საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-12 მუხლი)

60 დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირს დაკავების ან დაპატიმრებისთანავე უნდა განემარტოს მისი უფლებები და თავისუფლების შეზღუდვის საფუძველი. მას დაკავების ან დაპატიმრებისთანავე შეუძლია მოითხოვოს დამცველის დახმარება, რაც უნდა დაკმაყოფილდეს. თავისუფლების აღკვეთა ან პირადი თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვა დაუშვებელია სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე. (საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლი). სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-12 მუხლის თანახმად „დაუშვებელია თავისუფლების შეზღუდვა კანონიერი საფუძვლისა და წესის გარეშე. დაკავებულსა და დაპატიმრებულს დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს დაკავებისა და დაპატიმრების მიზეზი, საფუძველი და დანაშაული, რომლის ჩადენაშიც ის ეჭვმიტანილია ან რომლის ჩადენაშიც მას ბრალი ედება“. დაკავებისთანავე, დაუყოვნებლივ, მისთვის გასაგებ ენაზე, ეცნობოს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული რომელი დანაშაულის ჩადენაში არსებობს მის მიმართ ეჭვი და გადაეცეს დაკავების ოქმის ასლი. (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლი).

⁶¹ ეჭვმიტანილს დაკავებისთანავე უნდა განემარტოს დუმის უფლება, უფლება, არ დაიბრალოს დანაშაული, დამცველის მოწვევის უფლება, უფლება, დაუკავშირდეს ახლობლებს, (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 72-ე მუხლი) აგრეთვე დაკავებისთანავე, დაუყოვნებლივ მისთვის გასაგებ ენაზე , ეცნობოს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული რომელი დანაშაულის ჩადენაში არსებობს მის მიმართ ეჭვი და გადაეცეს დაკავების ოქმის ასლი (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლი), მისი მონაწილეობით დაკითხვისა და ხსვა საგამომიებო მოწმედების ჩატარების დროს, უფასოდ ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით, თუ მან არ იცის ან სათანადოდ არ იცის სისხლის სამართლის პროცესის ენა; (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლი) დაკავებისთანავე ან ეჭვმიტანილად ცნობის შესახებ დადგენილების გამოტანისთანავე მოითხოვოს უფასო სამედიცინო შემოწმება და შესაბამისი წერილობითი დასკვნა, აგრეთვე სამედიცინო ექსპერტიზის დანიშვნა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესამოწმებლად, რაც დაუყოვნებლივ უნდა დაკმაყოფილდეს (სსსკ 73-ე მუხლი). ექსპერტიზის დანიშვნაზე უარი შეიძლება ერთგვარადად გასაჩივრდეს გამოძიების ადგილის მიხედვით რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში, სადაც საჩივარი განიხილება მისი 24 საათში (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლი). ეჭვმიტანილის მიერ თავისი უფლებების გამოუყენებლობა არ შეიძლება გაგებულ ან განმარტებულ იქნეს მისი დანაშაულის დამადასტურებელ მტკიცებულებად (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლი).



ადამიანის უფლებათა საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრი სასამართლოს მონიტორინგი

თამაზ მაჭავარიანი
ნემსიწვერიძეები

ე) შეტყობინება ნათესავებისა და ახლობლებისათვის პირის დაკავების ან დაპატიმრებისას⁶²

საქმეები, რომლებშიც აღნიშნული უფლება დაირღვა:

- ნემსიწვერიძეები
- მალანია ირაკლი

ვ) სასამართლოს გადაწყვეტილების დროულად მიღება⁶³

საქმეები, რომლებშიც აღნიშნული უფლება დაირღვა:

- ალანია, ბიბილურიძე, აფციაური და ლაჭავა
- გვიჩიანი, ჩემია, ხერკილაძე
- მოლაშვილი სულხანი
- ცხაკაია კახა

⁶² სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 138-ე მუხლის თანახმად, „გამომძიებელი დაპროკურორი, მას შემდეგ, რაც გამოიყენებენ საპროცესო იძულების ღონისძიებად დაკავების სახით, აგრეთვე შეასრულებენ სასამართლო ბრძანებას პირის დაპატიმრების ან ექსპერტიზისათვის სამედიცინო დაწესებულებაში მოთავსების შესახებ, ვალდებულნი არა უგვიანეს 5 საათისა, ხოლო არასრულწლოვანის მიმართ - არა უგვიანეს 3 საათისა, შეატყობინონ ეს მათი ოჯახის რომელიმე წევრს, ხოლო თუ ასეთები არ არსებობენ, - რომელიმე ნათესავს ან ახლობელს, დაპატიმრების ან სამედიცინო დაწესებულებაში მოთავსების შემთხვევაში კი შეატყობინონ სამუშაო ან სწავლის ადგილას. შეტყობინების ასლი ან მისი დამასდასტურებელი სხვა დოკუმენტი სქმეს თან ერთვის.“

⁶³ ადამიანის დაკავება დასაშვებია კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში საგანგებოდ უფლებამოსილი პირის მიერ. დაკავებული თუ სხვაგვარად თავისუფლებაზეზღუდული პირი უნდა წარედგინოს სასამართლოს განსჯადობის მიხედვით არა უგვიანეს 48 საათისა. თუ მომდევნო 24 საათის განმავლობაში სასამართლო არ მიიღებს გადაწყვეტილებას დაპატიმრების ან თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვის შესახებ, პირი დაუყოვნებლივ უნდა განთავისუფლდეს (კონსტიტუციის მე-18 მუხლი). დაუშვებელია პირის 48 საათზე მეტი ხნით დაკავება. პირის დაპატიმრება ან ექსპერტიზისათვის სამედიცინო დაწესებულებაში მოთავსება შეიძლება მხოლოდ მოსამართლო ბრძანებით ან სასამართლოს განჩინებით (დადგენილებით) (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-12 მუხლი). ბრალდებული. გამომძიებლის ან პროკურორის წერილობითი დავალებით, დაკავებულის ყოფნის ადგილის ადმინისტრაციას მიჰყავს მოსამართლესთან, რომელსაც წარედგინება აგრეთვე სისხლის სამართლის საქმის მასალების ასლი (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 160-ე მუხლი). დაკავების ვადა დაკავების მომენტიდან ბრალდების წაყე ებამდე არ უნდა აღემატებოდეს 48 საათს. თუ მომდევნო 24 საათის განმავლობაში სასამართლო არ მიიღებს გადაწყვეტილებას დაპატიმრების ან აღკვეთის ღონისძიების სხვა სახის გამოყენების შესახებ, პირი დაუყოვნებლივ უნდა განთავისუფლდეს (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 145-ე მუხლი). მოსამართლე შუამდგომლობას პირის დაპატიმრების, ან მის მიმართ აღკვეთის სხვა ღონისძიების, აგრეთვე ამ კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში საპროცესო იძულების ღონისძიების გამოყენების შესახებ გნიხილავს შუამდგომლობისა და საქმის მასალების წარდგენიდან არა უგვიანეს 24 საათისა (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 140-ე მუხლი). დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილის დაკავების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 72 საათს, ხოლო ბრალდებულის წინასწარი პატიმრობა - 9 თვეს (საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლი). საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 371-ე მუხლი, რომლითაც „სააპელაციო საჩივრის შესვლის შემდეგ, პირველი ინსტანციის სასამართლო დაუყოვნებლივ გადაუგზავნის სააპელაციო სასამართლოს მთლიანად საქმეს, აგრეთვე დამატებით შემოსულ ყველა მასალას“.



ადამიანის უფლებათა საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრი სასამართლოს მონიტორინგი

- ჯალაბადე გიორგი
- ბათიაშვილი ირაკლი
- მიქიაშვილი გიორგი
- კომპენსაციის მიღება (ადმინისტრაციული დავა)
- მერაბ თურმანიძე

ზ) დაცვისათვის საჭირო დროითა და საშუალებით უზრუნველყოფა⁶⁴

საქმეები, რომლებშიც აღნიშნული უფლება დაირღვა:

- იზაბელა ზაქარაძე, ლარისა კობალაძე, ემილ სურმანიძე
- ნემსიწვერიძეები

თ) წამება და სასტიკი მოპყრობა და უფლება, არ აიძულონ აღიაროს თავი დამნაშავედ⁶⁵

საქმეები, რომლებშიც აღნიშნული უფლება დაირღვა:

- მოლაშვილი სულხანი

⁶⁴ დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირს დაკავების ან დაპატიმრებისთანავე უნდა განემართოს მისი უფლებები და თავისუფლების შეზღუდვის საფუძველი. მას დაკავების ან დაპატიმრებისთანავე შეუძლია მოითხოვოს დამცველის დახმარება, რაც უნდა დაკმაყოფილდეს. (საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლი).

ექვმიტანილს დაკავებისთანავე უნდა განემართოს დუმილის უფლება, უფლება, არ დაიბრალოს დანაშაული, დამცველის მოწვევის უფლება, უფლება, დაუკავშირდეს ახლობლებს, აგრეთვე ამ კოდექსის 73-ე მუხლით გათვალისწინებული ექვმიტანილის სხვა უფლებები. (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 72-ე მუხლი).

პირის მოთხოვნა დამცველის მოწვევის თაობაზე უნდა დაკმაყოფილდეს დაკავებისთანავე, დაუყოვნებლივ, ახსნა-განმარტების მიცემამდე ან, თუ ეს ობიექტური მიზეზების გამო ვერ ხერხდება, მაქსიმალურად გონივრულ დროში, რათა ექვმიტანილს მიეცეს საკმარისი დრო და საშუალება განახორციელოს თავისი დაცვა (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 72-ე მუხლი)

⁶⁵ დაუშვებელია პროცესის მონაწილეთა თუ სხვა პირთა მიმართ სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში, აგრეთვე მათი პატივისა და ღირსების შემლახავი მეთოდების გამოყენება.(სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-12 მუხლი).

ექვმიტანილს დაკავებისთანავე უნდა განემართოს დუმილის უფლება, უფლება, არ დაიბრალოს დანაშაული (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლი).

საგამომიებო თუ სასამართლო მოქმედების ჩატარებისას აკრძალულია პიროვნების მიმართ მეძიებლობის, მუქარის, შანტაჟის,წამების, ფიზიკური თუ ფსიქიკური ძალადობის სხვა ხერხების გამოყენება. დაუშვებელია დაკავებულისა და დაპატიმრებულის მიმართ სამედიცინო ექსპერიმენტის ჩატარება, ძილის, წყლის, საკვების აკრძალვა ან ზღვრულ ნორმაზე მეტად შეზღუდვა, ისეთ პირობებში ჩაყენება, რომელიც მავნე ზეგავლენას ახდენს ადამიანის ჯანმრთელობაზე და ლახავს მის ღირსებას. (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-12 მუხლი)

სასამართლო, (მოსამართლე), რომელიც განიხილავს განსასჯელის მიერ ბრალის აღიარებას, ვალდებულია მხარეთა მონაწილეობით დარწმუნდეს, რომ აღიარება ნებაყოფლობითია და ბრალდებულის (განსასჯელის) მიმართ არ ყოფილა მუქარა, დაშინება, იძულება ან სხვაგვარი ზეწოლა ან/ და მოტყუება. (სისხლის სამართლის კოდექსის 473-ე მუხლი)



ადამიანის უფლებათა საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრი სასამართლოს მონიტორინგი

- მიქიაშვილი გიორგი
- ნიშნიანიძე ონისე

ი) დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს უფლება⁶⁶

საქმეები, რომლებშიც აღნიშნული უფლება დაირღვა:

- მოლაშვილი სულხანი
- მალანია ირაკლი
- ნიშნიანიძე ონისე

კ) პროცესის საქვეყნოობა, განაჩენის დასაბუთებულობა და სდამართლიანობა⁶⁷

საქმეები, რომლებშიც აღნიშნული უფლება დაირღვა:

- ალანას, ბიბილურიძის, აფციაურის და ლაჭავას
- ვაჟა ადამია
- ზაშალეიშვილი გრიგოლ
- ბათალბი სალინაძე, ვახტანგ ბიბლაია
- ირაკლი შაქარიშვილი
- დავით თამაზაშვილი
- რევაზ შანიძე
- ილია მექერიშვილი
- მალანია ირაკლი

⁶⁶ სასამართლო უზრუნველყოფს მხარეთა მიერ მტკიცებულებების წარდგენისა და გამოკვლევისათვის საჭირო პირობებს, ამასთან, იცავს მიუკერძოებლობას და თავს იკავებს საკუთარი ინიციატივით მტკიცებულებათა გამოთხოვისაგან. (სისხლის სამართლის კოდექსის 439-ე მუხლი) დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს უფლება აქვს პროცესში მონაწილე ნებისმიერ

საქართველოს კონსტიტუციის 40-ე მუხლის სსსკ 10-ე მუხლის თანახმად „დადგენილება ბრალდებულად სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ საბრალდებო დასკვნა და გამამტყუნებელი განაჩენი, ასევე ყველა სხვა საპროცესო გადაწყვეტილება უნდა ემყარებოდეს უტყუარ მტკიცებულებებს.“

⁶⁷ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 496-ე მუხლის თანახმად „სასამართლოს განაჩენი უნდა იყოს კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი“.

„სასამართლოს განაჩენი დასაბუთებულია, თუ მისი დასკვნები ემყარება სასამართლო სხდომაზე განხილულ უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობას და ეს მტკიცებულებები საკმარისია საქმეზე ჭეშმარიტების დასადგენად. განაჩენში ჩამოყალიბებული ყველა დასკვნა და გადაწყვეტილება დასაბუთებული უნდა იყოს.“ (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 496-ე მუხლი)

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 496-ე მუხლის თანახმად: „განაჩენი სამართლიანია, თუ დანიშნული სასჯელი შეესაბამება დამნაშავეს პიროვნებას და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს.“ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 45-ე მუხლის თანახმად „სასამართლო სახელმწიფო ხელისუფლების ერთადერთი ორგანოა, რომელიც უფლებამოსილია განახორციელოს მართლმსაჯულება, განიხილოს სისხლის სამართლის საქმე, გამოიტანოს კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი განაჩენი, სასჯელი დაუნიშნოს მხოლოდ



ადამიანის უფლებათა საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრი სასამართლოს მონიტორინგი

- მოლაშვილი სულხანი
- გვიჩიანი, ჩემია, ხერკილაძე

ლ) ჩვენებების მოპოვებისას წამებისა და სასტიკი მოპყრობის აკრძალვა⁶⁸

საქმეები, რომლებშიც აღნიშნული უფლება დაირღვა:

- აფხაიძე, ფაფიაშვილი, გამყრელიძე
- მოლაშვილი სულხანი
- ჯალაბაძე გიორგი

მ) სახელმწიფოს პასუხისმგებლობა აღკვეთის წამება და სასტიკი მოპყრობა⁶⁹

საქმეები, რომლებშიც აღნიშნული უფლება დაირღვა:

- მიქიაშვილი გიორგი
- მოლაშვილი სულხანი
- ჯალაბაძე გიორგი

⁶⁸ დაუშვებელია ადამიანის წამება, მის მიმართ არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახველი მოპყრობისა თუ დასჯის მეთოდების გამოყენება (საქართველოს კონსტიტუციის მუხლი #17)

საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისას დაუშვებელია ძალის, მუქარის, შანტაჟის მოტყუებისა და სხვა უკანონო მოქმედებების გამოყენება, ასევე დაუშვებელია ამ მოქმედებაში მონაწილე პირების სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შექმნა. (საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 286-ე მუხლი).

პოლიციელს ეკრძალება ისეთი ფიზიკური იძულების და სპეციალური საშუალებების გამოყენება, რომელიც ადამიანის მძიმე დასახიჩრებას იწვევს, დაკავშირებულია გაუმართლებელ რისკთან იკრძალება საერთაშორისო კონვენციებითა და საერთაშორისო აქტებით. (საქართველოს „პოლიციის შესახებ კანონის“ 12-ე მუხლი)

საგამოძიებო თუ სასამართლო მოქმედება, რომელიც ეხება პიროვნების ხელშეუხებლობას, შეიძლება იძულებით ჩატარდეს მხოლოდ მაშინ, თუ ამას უშუალოდ კანონი ითვალისწინებს. (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-12 მუხლი)

⁶⁹ საგამოძიებო თუ სასამართლო მოქმედების ჩატარებისას აკრძალულია პიროვნების მიმართ მეძიებლობის, მუქარის, შანტაჟის, წამების, ფიზიკური თუ ფსიქიკური ძალადობის სხვა ხერხების გამოყენება. დაუშვებელია დაკავებულისა და დაპატიმრებულის მიმართ სამედიცინო ექსპერიმენტის ჩატარება, ძილის, წყლის, საკვების აკრძალვა ან ზღვრულ ნორმაზე მეტად შეზღუდვა, ისეთ პირობებში ჩაყენება, რომლებიც მავნე ზეგავლენას ახდენს ადამიანის ჯანმრთელობაზე და ლახავს მის ღირსებას. (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 12-ე მუხლი)

სასამართლო (მოსამართლე), რომელიც განიხილავს განსასჯელის მიერ ბრალის აღიარებას, ვალდებულია მხარეთა მონაწილეობით დარწმუნდეს, რომ აღიარება ნებაყოფლობითია და ბრალდებულის (განსასჯელის) მიმართ არ ყოფილა მუქარა, დაშინება, იძულება ან სხვაგვარი ზეწოლა ან/და მოტყუება (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 473-ე მუხლი)

საგამოძიებო თუ სასამართლო მოქმედება, რომელიც ეხება პიროვნების ხელშეუხებლობას, შეიძლება იძულებით ჩატარდეს მხოლოდ მაშინ, თუ ამას უშუალოდ კანონი ითვალისწინებს. (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-12 მუხლი)



ადამიანის უფლებათა საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრი სასამართლოს მონიტორინგი

შეჯამება

- სასამართლო დაწესებულებაში მონიტორინგის ჩატარებაზე სასამართლოების წინასწარი წერილობითი ინფორმირება მოვახდინეთ, რადგან თავიდან გვექმნებოდა ძალიან დიდი პრობლემები სასამართლო შენობაში შესვლასა და სხდომის დარბაზებში პროცესებზე დასწრებისას. ამჟამად პროცესებს ვესწრებით დაუბრკოლებლად. თბილისში მდებარე ყველა სასამართლოსგან მართალია დაგვიანებით, მაგრამ მივიღეთ წერილობითი თანხმობა მონიტორინგის ჩატარებაზე.
- ბათუმის სასამართლოში მონიტორინგის ჩატარების თაობაზე სასამართლოს სამივე სართულზე სხდომის დარბაზებთან მონიტორინგის ჯგუფმა გააკრა განცხადებები. მოსამართლეებს მოუწოდა სხდომის დარბაზებში მონიტორთა შეუფერხებლად დასწრება და მათ წარმოებაში არსებულ საქმეთა განრიგის წინასწარ საჯაროდ გამოქვეყნება, რაც ხელს შეუწყობს არა მარტო მონიტორინგს არამედ, კონკრეტული საქმით დაინტერესებული პირის დასწრებას პროცესზე. მოხდა მიღებული მონაცემების დოკუმენტირება და გაანალიზება, რაც წარმოადგენს მომავალში სისტემაში არსებული დარღვევების გამოსასწორებლად დასკვნების გაკეთების საფუძველს. განსასჯელ პირებსა და მათი ინტერესების დამცველებთან უშუალო კონტაქტისა და გასაუბრების დროსაც ხდება გასაჭირის გამოაშკარავება და სისტემაში არსებული პრობლემის წარმოჩენა.
- საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 140-ე მუხლის მე-11 ნაწილის აღნიშნული მოთხოვნით, კანონმდებელმა გარკვეული სასამართლო კონტროლი დააწესა წინასწარი გამოძიების მიერ პირის მიმართ ბრალდების წარდგენის საფუძვლიანობაზე. აქვე აღვნიშნავთ, რომ მოცემულ შემთხვევაში, სასამართლოს კონტროლი წინასწარ გამოძიებაზე გაცილებით დაბალი ხარისხისაა ვიდრე სასამართლოს ჩარევა წინასწარი გამოძიების პროცესში, პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტისას, რა დროსაც, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 242-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლო უშუალოდ იხილავს და წყვეტს საკითხს წინასწარი გამოძიების ამგვარი გადაწყვეტილების კანონიერების შესახებ.
- სისხლის სამართლებრივი დევნა უნდა დაიწყოს მაშინ, როდესაც არსებობს დასაბუთებული ეჭვი და ვარაუდი. სასამართლოს არა აქვს უფლება მხოლოდ ვარაუდზე დაყრდნობით გამოიტანოს გამამტყუნებელი განაჩენი. (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 496-ე მუხლი). სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 503-ე მუხლის II ნაწილით “გამამტყუნებელ განაჩენს არ



ადამიანის უფლებათა საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრი სასამართლოს მონიტორინგი

შეიძლება საფუძვლად დაედოს ვარაუდი. იგი დგინდება მხოლოდ იმ პირობით, თუ სასამართლო განხილვის დროს დამტკიცდა განსასჯელის მიერ დანაშაულის ჩადენა უტყუარ მტკიცებულებათა საფუძველზე”.

მიღებული შედეგები:

აღნიშნული მიმართვებისა და განხორციელებული სამუშაოს შედეგად, საბოლოო ჯამში, მიღწეულ იქნა შემდეგი სახის შედეგები:

- საქართველოს კონსტიტუციის 85-ე მუხლის და სისხლის სამართლის კოდექსის მე-16-ე მუხლის (“სისხლის სამართლის პროცესის საქვეყნობა”) მეტ-ნაკლებად დაცვა. სისხლის სამართლის საქმეების განხილვა ღიაა, სამართალწარმოების მონაწილეებსა და სხვა პირებს პროცესის დროს შეუძლიათ დაუბრკოლებლად სხვადასხვა ჩამწერი საშუალებების გამოყენება. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს შეუძლიათ თავისუფლად გააშუქონ სასამართლო პროცესის მიმდინარეობა და შედეგები.
- სასამართლო შენობაში გამოჩნდა მანდატურები. თანდათან ჩამოყალიბდა და პრაქტიკული თვალსაზრისით უფრო სრულყოფილი სახე მიეცა მათ მიერ შესასრულებელ სამუშაოს, მათზე დაკისრებულ უმნიშვნელოვანეს ფუნქციებს: სასამართლო შენობაში, მიმდებარე ტერიტორიასა და სხდომის დარბაზში სრული წესრიგის უზრუნველყოფასა და დაცვას.
- ინფორმაციული თვალსაზრისით, დაინტერესებულ პირთათვის სასამართლო შენობაში წინასწარ საჯაროდ ქვეყნდება, გამოიკვრება დღის განმავლობაში განსახილველ საქმეთა გრაფიკი მონაცემებით სხვადასხვა მოსამართლეთა წარმოებაში არსებულ საქმეთა განრიგის შესახებ, რაც ხელს უწყობს არა მარტო ჩვენს ეფექტურ მუშაობას არამედ, კონკრეტული საქმით დაინტერესებული პირის დასწრებას პროცესზე.

საქართველოს მასშტაბით ყველა სასამართლოში დაფიქსირებული პრობლემები:

- პროცესუალური დარღვევა, რაც სასამართლოში ხდება ეს გახლავთ, საქმეთა განხილვა მოსამართლეთა კაბინეტებში. ზოგიერთი პროცესები უმრავლესად კი აღკვეთის ღონისძიების შეფარდება განხილვა მოსამართლის კაბინეტებში რაც ეჭვს ბადებს მიღებული გადაწყვეტილების ობიექტურობაში. სამწუხაროდ ეს საქართველოს ყველა სასამართლოს ეხება.



ადამიანის უფლებათა საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრი სასამართლოს მონიტორინგი

- სასამართლო პროცესებიდან, ხშირ შემთხვევაში, არ მონაწილეობს ადვოკატი. ეს გარემოება, ერთი შეხედვით, ეჭვს არ იწვევს, რადგან სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის მე-6 ქვეპუნქტის თანახმად „ექვმიტანილს, ბრალდებულსა განსასჯელს უფლება აქვთ მთელი პროცესის მანძილზე უარი თქვან დამცველის დანიშვნაზე ან დანიშნულ დამცველზე და მოიწვიონ დამცველი შეთანხმებით ან დაცვა დამოუკიდებლად განახორციელონ (გამონაკლის შემთხვევებში სისხლის სამართლის კოდექსის 81-ე მუხლი ითვალისწინებს იძულებით დაცვას). ანგარიშში განხილულ პროცესებში მართალია უმეტეს შემთხვევაში განსასჯელებმა თავად განაცხადეს უარი დაცვაზე, მაგრამ არა იმიტომ, რომ მათ არ სურდათ და არ სჭირდებოდათ ადვოკატის დახმარება, არამედ იმიტომ, რომ ამ განსასჯელებს რწმენა აღარ აქვთ, რომ მათ ინტერესებს სათანადოდ დაიცავს სახაზინო წესით დანიშნული ადვოკატი. ეს განაცხადეს განსასჯელთა ახლობლებმაც. სახაზინო ადვოკატის ინსტიტუტმა დღეს რეალურად თითქმის დაკარგა ფუნქცია. ხალხს არ სჯერა რომ ის სათანადოდ დაიცავს მათ ინტერესებს ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე. თუნდაც დათანხმდნენ განსასჯელები სახაზინო წესით დამცველი-ადვოკატის დანიშვნას, მათი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული უფლება - საკუთარი სურვილისამებრ აირჩიონ ადვოკატი, ირღვევა, რადგან მათ არავინ ეკითხებათ, რომელი ადვოკატის დანიშვნა სურთ, ხოლო თუ ეკითხებიან დიდი არჩევანი ისედაც არა აქვთ.
- სახელმწიფო ხელისუფლებისაგან მივიწყებულია აგრეთვე რაიონული სასამართლოები შენობებიც, რომლებიც საშინელ მდგომარეობაშია.
- საქართველოს სასამართლოებში მძიმე მდგომარეობაა შექმნილი იმ მხრივ, რომ მოსამართლე იძულებულია ერთ დღეში ჩაატაროს 10 და მეტი სასამართლო სხდომა. ამას თან ერთვის პატიმართა დროული ტრანსპორტირების მოუგვარებელი პრობლემა, რის გამოც საპატიმრო საქმეების დროულად დაწყება შეუძლებელია. ზოგჯერ სისხლის სამართლის საქმეებზე პროცესების დაწყება 3 საათამდე შეუძლებელია, რადგან ამ დრომდე პატიმრების ჩამოყვანა ვერ ხერხდება, ხოლო სადამოს 6 საათის შემდეგ ბადრავს პატიმარი მიჰყავს, რაც ხშირად იწვევს სხდომის გადადებას. ხშირია შემთხვევები, როდესაც ერთდროულად მოჰყავთ რამოდენიმე პატიმარი და მოსამართლე იძულებულია მცირე დროის განმავლობაში ჩაატაროს რამოდენიმე პროცესი. რაიონებში ამ მხრივ უფრო რთული მდგომარეობაა, რადგან მოჰყავთ 10-მდე პატიმარი, ხოლო მოსამართლეს მხოლოდ 4 საათი აქვს დარჩენილი ამდენი საქმის განსახილველად, რადგან როგორც აღვნიშნეთ, პატიმრები ბადრავს უკან მიჰყავს სადამოს 6 საათის შემდეგ.

ბათუმის სასამართლოში დაფიქსირებული პრობლემები:



ადამიანის უფლებათა საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრი სასამართლოს მონიტორინგი

- თავდაპირველად, როდესაც დავიწყეთ მონიტორინგის განხორციელება ბათუმის სასამართლოებს არ ჰქონდათ ტრიბუნები. დამსწრეთათვის არ იყო საკმარისი ადგილები. დაცვისა და ბრალდების მხარისათვის გამოყოფილი სკამები და მაგიდები დამტვრეული იყო.
- მართმსაჯულებას ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეები 2006 წლის 23 ოქტომბრიდან უკვე ახალ შენობაში ახორციელებენ. სხდომათა დარბაზებში განთავსებულია კომპიუტერები და სხდომის მდივნები სხდომის ოქმს აწარმოებენ კომპიუტერში. სასამართლოს, მოწმისა და მხარეთათვის არსებობს მოკროფონები, რომლის მეშვეობითაც შეუძლიათ დააფიქსირონ საკუთარი ახსნა-განმარტება, ჩვენება თუ პოზიცია. მოსამართლის თანაშემწეებს და თითქმის ყველა თანამშრომელს აქვს კეთილმოწყობილი კაბინეტები. არსებობს საინფორმაციო კუთხე საქმეთა განხილვისათვის, მაგრამ გამოქვეყნებულია საქმეთა განხილვის არასრული გრაფიკი (არ არის ყველა მოსამართლის მიერ განსახილველ საქმეთა განრიგი გამოქვეყნებული).
- ბათუმის სასამართლოში მხარეებს შორის წარმოიშვა კამათი გირაოს დანიშვნა არ დანიშვნაზე. მოსამართლემ დაცვის და ბრალდების მხარეს შორის წარმოშობილი კამათისას განაცხადა, რომ მასთან მხარეები აღკვეთის ღონისძიების ერთ კონკრეტულ სახეზე შეთანხმებული მიდიან და შესაბამისად ღებულობს გადაწყვეტილებას შეთანხმებული პოზიციით. მოსამართლის ასეთი განმარტებითა და მიდგომით ირკვევა, რომ სასამართლო სწორედ ნოტარიულად დამმოწმებლის როლში გამოდის, ე.ი. ორივე მხარე უკვე წინასწარ ერთ პოზიციაზე შეთანხმებული მიდის სასამართლოში სადაც თავიანთ შეთანხმებას ლეგიტიმურ ხასიათს აძლევს სასამართლო. საკანონმდებლო ბაზაში ჩამოყალიბებული პრინციპი, რომ მოსამართლე დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციასა და კანონებს, პრაქტიკას არ შეესაბამება. მოსამართლე მხარეთა მიერ მიღწეული შეთანხმების დამმოწმებლად გამოდის.
- აღნიშნული პროგრამის დაწყებისას ბათუმის სასამართლოს შენობაში არ იყო გამოკრული საქმეთა ჩატარების განრიგი. სასამართლოსადმი ოფიციალური მიმართვის შემდეგ უკვე შეიქმნა სპეციალური კუთხე სადაც კონკრეტულ დღეს განსახილველ საქმეთა განრიგი არის გამოქვეყნებული, რაც, ბუნებრივია, ხელს შეუწყობს, როგორც სასამართლო მონიტორინგის განხორციელებისას ეფექტურ მოქმედებას (იგულისხმება ის, რომ იოლად მოხდება გარკვევა იმისა თუ როდის რომელი პროცესი გაიმართება), ისე კონკრეტული საქმით დაინტერესებული საზოგადოების ფართო მასების ინფორმირებულობას.

კახეთის სასამართლოებში დაფიქსირებული პრობლემები:



ადამიანის უფლებათა საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრი სასამართლოს მონიტორინგი

- კახეთის მხარეში სასამართლო სისტემასა და ამ სისტემაში სამართალდარღვევების მხრივ, მდგომარეობა ნამდვილად შემამფოთებელია. რაც შეეხება სასამართლო მონიტორინგის განხორციელებას, ამ პროექტის მიმართ რაიონული სასამართლოები იმდენად აგრესიულად არიან განწყობილი, რომ ინფორმაციის მოწოდებაც კი არ ისურვებს მოსამართლეთა მიერ განსახილველად ჩანიშნული საქმეების შესახებ. გამონაკლისს წარმოადგენს დედოფლისწყაროს რაიონული სასამართლო, რომლის მოსამართლე რეგულარულად გვაწვდის ინფორმაციას მის მიერ ჩანიშნული პროცესების დროისა და ადგილის შესახებ. განსახილველი საქმეების შესახებ ინფორმაციას გვაწვდიდა გურჯაანის რაიონული სასამართლოს მოსამართლე შალვა მჭედლიშვილი, თუმცა ეს გრძელდებოდა მხოლოდ 30 აგვისტომდე და ჩვენთვის გაურკვეველი მიზეზების გამო, სექტემბრის თვეში ფაქტობრივად არც ერთი შეტყობინება აღარ მიგვიღია. სასამართლოს ფოიეში საერთოდ არ არსებობს სტენდი, სადაც გამოკრული იქნებოდა ინფორმაცია მოსამართლის მიერ განსახილველი საქმეების შესახებ, რის გამოც მიძნელდება სასამართლო პროცესზე სათანადო დროს გამოცხადება. ინფორმაციის მოწოდებაზე მივიღეთ თანხმობა, თუმცა ჯერჯერობით ინფორმაცია არ მოუწოდებიათ.
- აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ განხორციელებულმა მონიტორინგმა გარკვეული შედეგი გამოიღო და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოსგან 7 ნოემბერს მივიღეთ #77 წერილზე პასუხი, რომელშიც აღნიშნულია, რომ „ახმეტის, თელავის, გურჯაანის, ყვარლის, დედოფლისწყაროს, ლაგოდეხის, სიღნაღისა და საგარეჯოს რაიონული სასამართლოებიდან გამოთხოვილი ინფორმაციის თანახმად, დღეისათვის ყველა ზემოაღნიშნულ სასამართლოში კანონის მოთხოვნის შესაბამისად არის გამოკრული საინფორმაციო დაფა, რომელზედაც განთავსებული ინფორმაცია სისტემატიურად ახლდება.“

დასკვნები და რეკომენდაციები:

- ის ფაქტი, რომ ვიღაცა რეგულარულად ესწრება სისხლის სამართლის საქმეთა სხდომებს, ხელს უწყობს სისხლის სამართლის პროცესით დადგენილი ნორმების დაცვას. სასამართლო, რომელიც ახორციელებს მართლმსაჯულებას, ურიგდება გარედან მეთვალყურეობის ქვეშ ყოფნას და ამდენად ცდილობს, არ გასცდეს პროცესუალური თუ მატერიალური ნორმების ჩარჩოებს. მოწმდება სასამართლოში შექმნილი პირობები (სხდომათა დარბაზი, კაბინეტები, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და სხვა მიმდინარე საკითხები), რომლებიც გარკვეულწილად, შესაძლებელია გავლენას ახდენდნენ მართლმსაჯულების ხარისხზე.



ადამიანის უფლებათა საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრი სასამართლოს მონიტორინგი

იმისათვის, რომ იქნას დაცული სასამართლო პროცესების საჯაროობის პრინციპი, სასამართლო დარბაზებსა და ზოგადად სასამართლოში უნდა შეიქმნას შესაბამისი პირობები საზოგადოების დასასწრებად; განსაკუთრებით იმ საქმეებზე, რომლებზეც საზოგადოების მხრიდან დიდი ინტერესი არსებობს;

- ხშირია შემთხვევები, როდესაც დარბაზების არასაკმარისი რაოდენობის გამო, მოსამართლეები თავად დგანან რიგში დარბაზის დასაკავებლად, რათა ჩაატარონ სასამართლო პროცესი. დიდ პრობლემას ქმნის ასევე ის, რომ სასამართლოს ოთახები ტექნიკურად გაუმართავია, კერძოდ არაა ტრიბუნები, სკამები, არ ისმის მხარეთა და მოსამართლის ხმა, პატიმრები მოთავსებულნი არიან გალიებში, მსგავსად ცხოველებისა, პროცესზე დამსწრეთა რაოდენობა იზღუდება რადგან უმეტეს შემთხვევაში არ არის დასაჯდომი ადგილები. მსგავსი პრობლემების ჩამოთვლა შეიძლება დაუსრულებლად. ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო, აშკარაა, რომ პროცესის მონაწილეთა უფლებები, რაც გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციითა და საქართველოს სხვა კანონებით, უხეშად ირღვევა.

ადამიანის უფლებათა ცენტრი რეკომენდაციას იძლევა, უახლოეს მომავალში ტექნიკურად გაიმართოს ყველა სასამართლო შენობა. ასვე სასამართლო სხდომაზე დასწრება ხელმისაწვდომი უნდა იყოს საზოგადოების ყველა წევრისათვის. არც ერთ ადამიანს არ უნდა ეთქვას უარი სხდომაზე დასასწრებად, თუკი არ არსებობს მნიშვნელოვანი საფუძველი იმისა, რომ მისი დაშვება სასამართლოს შეურაცხყოფას მიაყენებს;

სასამართლო მოსმენების დროისა და ადგილის შესახებ საზოგადოებისათვის ინფორმაციის მიღება უნდა იქნას გამარტივებული. აღნიშნული ინფორმაცია გამოკრული უნდა იყოს სასამართლოში საინფორმაციო დაფებზე ან ხელმისაწვდომი იყოს სასამართლოს სპეციალურ ვებ-გვერდზე;

- ცალკეულ მოსამართლეს დღის განმავლობაში უწევს დაახლოებით ათამდე, იქნება ეს სისხლის, სამოქალაქო თუ ადმინისტრაციული, საქმეზე პროცესის ჩატარება. სხდომების ნაწილი დარბაზებში არ ტარდება და მოსამართლეები თავიანთ კაბინეტებში ატარებენ. არის შემთხვევები, როდესაც მოსამართლეები ასევე ვერ უზრუნველყოფენ საპროცესო ნორმებით დადგენილ ვადაში დასაბუთებული გადაწყვეტილებების და განჩინებების ჩაბარებას მხარეთათვის. იყო შემთხვევები, როდესაც ღამით 20:30 სთ-სა და 21:30 სთ-ზეც იქნა განხილული აღკვეთი ღონისძიების შესახებ გამომძიებლის შუამდგომლობები, რადგანაც კანონმდებლობით დადგენილი საქმის განხილვის საპროცესო ვადა გადიოდა.



ადამიანის უფლებათა საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრი სასამართლოს მონიტორინგი

მონიტორინგის შედეგები მიუთითებს იმ საჭიროებაზე, რომ უნდა გაიზარდოს მოსამართლეთა რაოდენობა, რათა დროულად იქნეს განხილული საქმეები, რომელთა რაოდენობამაც ამ ბოლო პერიოდში საგრძნობლად იმატა. მოსამართლეთა რაოდენობის გაზრდა ხელს შეუწყობს ასევე საქმის განხილვის ხარისხის გაუმჯობესებასაც, რადგან მოსამართლეებს დაეწერებათ ნაკლები საქმეები და, შესაბამისად, მეტი დრო ექნებათ საქმის დეტალურად და ხარისხიანად შესწავლისათვის.

- აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ხშირია მოსამართლეებზე ზეწოლები პირდაპირ თუ ირიბი ფორმით. ეს ვლინდება უშუალოდ სასამართლო პროცესების დროსაც. ხშირ შემთხვევაში, პროცესების უმრავლესობისას ამის გამოხატულებაა მოსამართლეთა მიერ პროკურატურის აზრის გაზიარება. პროცესებზე ხშირად ხდება ისეც, რომ პროკურორებს წინასწარ აქვთ დაწერილი საბრალდებო დასკვნები, როდესაც წესით მათი დაწერა უნდა მოხდეს განსასჯელთა საბოლოო სიტყვის მოსმენის შემდეგ. საბოლოო სიტყვაში განსასჯელს შეუძლია ისეთი რამ თქვას, რამაც შესაძლოა მთლიანად შეცვალოს პროცესის მიმდინარეობა, მაგრამ ხდება განსასჯელთა აზრის იგნორირება. მონიტორინგი გვიჩვენებს, რომ ხშირად მოსამართლეები აკმაყოფილებენ მხოლოდ პროკურატურის მხარის მიერ დაყენებულ შუამდგომლობებს, საიდანაც ასევე მხოლოდ ერთი დასკვნის გამოტანა შეიძლება, პროკურატურა ცდილობს თავისი ზეგავლენის წარმოჩენას და მოსამართლე უძღვრია ასეთ დროს. აღნიშნულ შემთხვევაში, მოსამართლე ცდილობს გამოიტანოს ისეთი გადაწყვეტილება, რის გამოც მას არ დააკარგვინებენ სამსახურს. ეს, რა თქმა უნდა, გავლენას ახდენს გადაწყვეტილების მიღების სისწორეზე.

სასურველია შეიცვალოს ზოგადად მიდგომა და მოსამართლეებს მიეცეთ საშუალება, მიიღონ ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც უფრო ახლოს იქნება განსახილველი საქმის ობიექტურ სინამდვილესთან და ასახავს თავად საქმის განმხილველი მოსამართლის დამოკიდებულებას აღნიშნულ საქმეზე, როგორც ეს გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციითა და კანონმდებლობით. რეკომენდაციას ვიძლევი ასევე, რომ პატიმრობა, როგორც წინასწარი დაკავების სახე, გამონაკლისის სახით გამოიყენებოდეს და არა უმრავლეს შემთხვევაში;

- არასახარბიელო მდგომარეობაა, თვით ადგილზე მხარეებისთვის უწყებების დროულად ჩაბარებასთან დაკავშირებით. საერთოდ, უწყებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების ჩაბარება არადროულად ხდება. უწყებების დაგვიანებით ჩაბარებისგან დაზღვევის მიზნით, ხშირად ამ ფუნქციას თვით ადვოკატები ითავსებენ.



ადამიანის უფლებათა საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრი სასამართლოს მონიტორინგი

სასამართლომ უნდა უზრუნველყოს, რომ გადაწყვეტილება სასამართლოზე წაკითხულ იქნეს სრულად და რომ დაცვის მხარე საბრალდებო დასკვნას დროულად მიიღებს.

- საქმის მოძრაობა სასამართლოებს შორის ხშირად იწელება დროში, რაც არღვევს ადამიანის უფლებებსა და ინტერესებს. ზემოაღნიშნულ საქმეებში ხშირია ამის მაგალითები.

სასურველია, შეიქმნას ახალი სპეციფიკური ქსელი, რომელიც მხოლოდ სასამართლო სისტემას მოემსახურება და აღმოიფხვრება ამ მხრივ არსებული პრობლემები.

- მრავალი იურისტი და ადამიანის უფლებათა დამცველი შეამფოთა ბოლო დროს სისხლის სამართლის კოდექსში შესულმა ცვლილებებმა. მაგალითად, 2005 წლის ივლისში ძალაში შესული ცვლილების თანახმად, “მართლმსაჯულების აღსრულებისათვის ხელის განზრახ შეშლა მოწმის ან მსხვერპლის მიერ განსაკუთრებით არასწორი მტკიცებულების წარმოდგენით, ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ხუთ წლამდე”.

უმჯობესია ამგვარი ცვლილება მომავალში აღარ განხორციელდეს, რადგან ეს იქნება კიდევ ერთი მიზეზი, რომ მოწმემ და მსხვერპლმა თავი აარიდოს მტკიცებულებათა წარმოდგენას და საერთოდ არც კი მიიღოს მონაწილეობა საქმის გამოძიებასა და განხილვაში.

- სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა საშუალებას იძლევა, საქმეზე გაგრძელებულ იქნას წინასწარი პატიმრობის ვადა მანამ, სანამ სააპელაციო და საკასაციო ინსტანციები არ მიიღებენ გადაწყვეტილებას. ეს კი ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 18-ე მუხლის თანახმად გათვალისწინებულ წინასწარი პატიმრობის 9 (ცხრა) თვიან ვადას.

ადამიანის უფლებათა ცენტრი რეკომენდაციას იძლევა, რომ დაცული იქნეს კონსტიტუციით განსაზღვრული ვადები.

- მოქალაქეთა უმეტესობას არ აქვს საშუალება დაიქირაოს კერძო დამცველი, ხოლო სახაზინო წესით დანიშნული დამცველის დანიშვნისას დაცვა ხშირად არაკვალიფიციურია.

პირი, რომელსაც აკავებენ დაუყოვნებლივ იქნეს უზრუნველყოფილი ადვოკატით, რათა ისარგებლოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული დაცვის უფლებით გამოძიების ნებისმიერ ეტაპზე;



ადამიანის უფლებათა საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრი სასამართლოს მონიტორინგი

დაკავებული პირი, რომელსაც არ აქვს ადვოკატის დაქირავების შესაძლებლობა, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისად იქნეს უზრუნველყოფილი სახაზინო ადვოკატით;

აუცილებლად უნდა მიექცეს ყურადღება სახაზინო ადვოკატის ინსტიტუტს, გაუმჯობესდეს მისი დაფინანსება.

- როდესაც დაცვის მხარეს ხელი მიუწვდება საქმისათვის საჭირო დოკუმენტაციისადმი და ფლობს სასამართლო საქმის წარმოების ყველა დოკუმენტს, ეს ხელს უწყობს სამართლიანი სასამართლოს წარმოებას და უზრუნველყოფს დაკავებული პირის უფლებების დაცვას.

ცენტრი რეკომენდაციას იძლევა, რომ უზრუნველყოფილ იქნას დამცველთათვის ყველა იმ ინფორმაციის, დოკუმენტისა და სამხილისადმი ხელმისაწვდომობა, რაც გამართლებს ან შეუმსუბუქებს განაჩენს ბრალდებულს;

დაცვის მხარეს ხელი უნდა მიუწვდებოდეს სასამართლოს საქმის წარმოების დოკუმენტებისადმი და იღებდეს საქმეში არსებული ყველა დოკუმენტის ასლს.

ხანმოკლე პერიოდის განმავლობაში მონიტორინგს არ შეუძლია ადამიანის უფლებათა დაცვის უზრუნველყოფა, მაგრამ იგი გამოიყენება სარეკომენდაციო პოლიტიკის შესამუშავებლად, რაც, სულ ცოტა, ხელს უწყობს პროგნოზირებული უარყოფითი შედეგების აცილებას. მას შეუძლია ადამიანის უფლებათა დაცვისადმი ყურადღების მიქცევა. იგი აუცილებლად ხელმისაწვდომი უნდა იყოს საზოგადოებისათვის. ზუსტი პროგნოზირება საშუალებას იძლევა პროფილაქტიური, ჰუმანური ქმედებით თავიდან იქნას აცილებული არასასურველი შედეგები მანამდე, სანამ ათობით ათასი ადამიანი უფლებრივად დაითრგუნება და დაიჩაგრება.

მივიჩნევთ, რომ სასამართლო პროცესებზე მონიტორინგი ემსახურება არა მხოლოდ მიმდინარე მართლმსაჯულების ობიექტურობისა და სასამართლოში არსებული მატერიალური სინამდვილის აღწერას, არამედ სასამართლო რეფორმის წარმატებულად განხორციელებას, არსებული მდგომარეობის გამოსწორებასა და განსასჯელთა უფლებების დაცვას. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, სასურველი იქნება მონიტორინგის განხორციელება გაგრძელდეს.